# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№19 (25.147) 24 მაისი, 2024 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 22-27 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

# გილოცავთ 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

## ირაკლი კობახიძე – ეს ბრძოლა არაკომფორტულია, მაგრამ უალტერნატივო


ნანა აბულაძე 577 20 35 90


*საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პირველ არხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ხელისუფლებას აქვს ძალიან მკაფიოდ გამოხატული პოზიცია, მათ სურთ ევროკავშირში ინტეგრაცია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, თუმცა, იქვე დაამატა, რომ მათი მხრიდან საპირისპირო პროცესებს ხედავენ*



„გლობალურ ომის პარტიასთან“ ბრძოლას ალტერნატივა არ აქვს. ეს არის ძალიან მტკივნეული, რთული ბრძოლა, მათ შორის, პერსონალური კუთხითაც. ჩემთვის პირადად, საერთოდ არ არის სასიამოვნო ამ ბრძოლაში ყოფნა, სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული ეს ბრძოლა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, მათ შორის, პერსონალურ რისკებთან და კონკრეტული მაგალითები არ მინდა მოვიყვანო ამასთან დაკავშირებით, არ არის სასიამოვნო არც პერსონალურად, არც ზოგადად, მაგრამ ალტერნატივა არ აქვს ერთი მარტივი მიზეზი გამო, ალტერნატივა არის დანებება და დანებების ერთადერთი გაგრძელება არის ამ ქვეყნის უკრაინიზაცია. ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ სახლში, მარტივად, ვგულისხმობ ჩვენს პოლიტიკურ ძალას, მაგრამ შედეგი იქნება რა - ერთადერთი ალტერნატივა, ვინც მოვა ხელისუფლებაში, ეს არის იგივე პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ქვეყანას მართავდა 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით - ეს არის კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ და გარანტირებული შედეგი ამ პოლიტიკური ძალის საქმიანობის, თან უახლოეს მომავალში, იქნება ამ ქვეყნის უკრაინიზაცია. ისინი გადადგამენ იმ ნაბიჯებს, რასაც ჩვენგან ითხოვდნენ და ძალიან მოკლე ვადებში მიაღწევენ ამ ქვეყნის უკრაინიზაციას. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს 2 თეორიული ალტერნატივა: ან ვაგრძელებთ ამ ძალიან რთულ და მტკივნეულ ბრძოლას „გლობალურ ომის პარტიასთან“, ან მარტივად შეგვიძლია მივუშვათ პროცესი, დავაბრუნოთ ხელისუფლებაში ეს პოლიტიკური ძალა, რომელიც მართავდა საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს 2012 წლამდე, რა თქმა უნდა, გარე ჩარევით და გარდაუვალი შედეგი უმოკლეს ვადებში არის საქართველოს მიერ უკრაინის ბედის გაზიარება. რადგან გვაქვს საუბარი ორ ალტერნატიულ ვერსიაზე, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ამ ძალიან მტკივნეულ და რთულ ბრძოლას ალტერნატივა არ აქვს. ეს ბრძოლა არაკომფორტულია, მაგრამ უალტერნატივო“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

## სახალხო დამცველი წინასაარჩევნო საკითხებზე ეუთო/ოდირის წარმომადგენლებს შეხვდა

*23 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი ეუთო/ოდირის საარჩევნო დეპარტამენტის უფროს მეგან ფიცჯერალდს, დეპარტამენტის მრჩეველს და ადგილობრივ კოორდინატორ ქსენია დაშუცინას, ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიების უფროს მრჩეველ ვლადიმერ მისევს და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელ ტიმ კნობლაუს შეხვდა. ინფორმაციას სახალხო დამცველის აპარატი ავრცელებს.*

შეხვედრაზე 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესზე და საარჩევნო გარემოს შეფასების საჭიროებაზე ისაუბრეს. სახალხო დამცველმა სტუმრებს, აპარატის მანდატიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო პერიოდსა და უშუალოდ არჩევნების დღეს მუშაობის პრაქტიკა გააცნო, ხაზი გაუსვა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მნიშვნელობას, რათა არცერთი უფლებადარღვევის ფაქტი არ დარჩეს რეაგირების გარეშე.

განიხილეს ასევე საკანონმდებლო ჩარჩო და ელექტრონული ტექნოლოგია, რომლითაც საქართველოში არჩევნები პირველად ტარდება.

სახალხო დამცველმა მადლობა გადაუხადა ეუთო/ოდირს წლების განმავლობაში გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.



### გადაწყვეტილია თუ არა პრეზიდენტის ვეტოს ბედი «გამჭვირვალობის კანონთან» დაკავშირებით?


2


### საფრანგეთის სამგზის ვიცე-ჩემპიონი მოეკავავე - ბათუმიდან


8



ISSN 2720-8702



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! ☎ 27-48-93

# გადაწყვეტილია თუ არა პრეზიდენტის ვეტოს ბედი „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

***14 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით მიიღო კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, მას მხარი 84-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი 30 დეპუტატი იყო. კანონის წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე პოლიტიკური პარტიები და დასავლელი პარტნიორების ნაწილიც***

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ამ კანონის მიღებას ჩვენს ქვეყანაში მოჰყვა აქციები, რაც დღესაც გრძელდება. კანონის მიღების დღიდან საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ხშირად ამბობდა, რომ ვეტოს დაადებდა და ასეც მოხდა.

ვეტოს დადებამდე წინასწარ გაჟღერდა განცხადებები, რომ მმართველ გუნდს ეს არ აშინებდა და მის დაძლევას მოახერხებდნენ.

ზურაბიშვილმა ვეტოს უფლება 18 მაისს გამოიყენა და განაცხადა, რომ არ აპირებდა კანონში ცვლილებების შეტანას, რადგან ის საერთოდ გასაუქმებელია.

„კანონი არ ექვემდებარება არავითარ ცვლილებას, არავითარ გაუმჯობესებას. ეს კანონი უნდა გაუქმდეს“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

მმართველ გუნდში განაცხადეს, რომ ხელისუფლება მზად არის ღია დისკუსიისთვის და შესთავაზეს ზურაბიშვილს, ვეტოსთან ერთად წარმოედგინა უცხოელ პარტნიორებთან შეთანხმებული მოტივირებული კომენტარები, რათა კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა გაჩნდეს, თუმცა, უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძის თქმით, პრეზიდენტმა „ქართული ოცნების“ შეთავაზებას, ვეტოს პროცედურაში ჩაერთო უცხოელი პარტნიორები, უარით და დესტრუქციით უპასუხა.

„დიდი მადლობა სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა, რომ „გამჭვირვალობის კანონის“ წინააღმდეგ არ არსებობს შენიშვნები და არგუმენტები.

ვეტოს ახალი ნაირსახეობის გამოგონებაზე კი სხვადასხვა თაობის იურისტები დიდი ხნის განმავლობაში იმსჯელებენ“, - აღნიშნა მდინარაძემ.

საპასუხოდ, სალომე ზურაბიშვილის საპარლამენტო მდივანმა გიორგი მსხილაძემ 20 მაისს სპეციალურ ბრიფინგზე წარმოადგინა კანონში შესატანი შენიშვნები. მსხილაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ვეტო მოტივირებულია და მასში დეტალურად არის აღწერილი კონსტიტუციის მე-4 მუხლი, ასევე, მისი განცხადებით, კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 22-ე, მე-15, მე-11 და 78-ე მუხლებს. „არის განმარტებული, თუ რატომ არის აღნიშნული კანონი რუსული, მოყვანილია მისი მიღების მოტივაცია, რა ფორმით იყო ეს კანონი მიღებული - რომ ეს ჩვენთვის მიუღებელი და დაუშვებელია“. - განაცხადა მსხილაძემ ბრიფინგზე.

ვეტოსთან დაკავშირებით 20 მაისს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს, მაგრამ წარდგენილ შენიშვნებს კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, წარმოდგენილი შენიშვნები და არგუმენტაცია აბსურდულია და მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის მატარებელია. პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს ორშაბათს, 27 მაისს, საკომიტეტო ფორმატში განიხილავს, ხოლო 28 მაისს, პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნება“ აპირებს, ვეტო არ გაიზიაროს და დაძლიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერანაირი ცვლილება ამ კანონპროექტში ველარ განხორციელდება და პარლამენტი იმ ვერსიას დაუჭერს მხარს, რაც „ქართულმა ოცნებამ“ 84 ხმით დაამტკიცა. მმართველი გუნდის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს უშინაარსო ვეტო წარუდგინა.

სამაგიეროდ, ოპოზიციისთვის ვეტო კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ პრეზიდენტს დაეთანხმონ, რის გამოც პრეზიდენტმა მათგან ბევრი მადლობაც მიიღო.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ პრეზიდენტის პოზიცია სწორია და იგი კარგად მოიქცა, „ქართულ ოცნებას“ „თამაშში“ რომ არ აჰყვა.

„პრეზიდენტს სწორი პოზიცია ჰქონდა თავიდანვე, რადგან რაღაც მუხლებზე დავა





და წინადადებების ჩასწორება იგივე „ოცნების“ თამაში იქნებოდა. ამ რუსული კანონის გაკეთილშობილებაში რომ არავინ შეჰყვა და მათ შორის არც პრეზიდენტი, ძალიან კარგია, ძალიან მკაფიო განაცხადია,“ - აღნიშნა ენმ-ის წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა.

ამ დროისთვის ოპოზიცია არ გამორიცხავს, რომ მომავალ კვირას ვეტოს განხილვის პროცესში ჩაერთონ. ამასთან, მიმართავს მმართველ გუნდს, რომ დაფიქრდეს და გაიზიაროს ის შენიშვნები, რომლებიც პრეზიდენტმა წარმოადგინა, რათა ქვეყანას პოტენციური საფრთხეები თავიდან აარიდოს.

პრეზიდენტის ვეტოსთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებებიც განსხვავებულია. ზოგი ფიქრობს, რომ მმართველმა გუნდმა უნდა გაიზიაროს ზურაბიშვილის შენიშვნები, ზოგიც კი თვლის, რომ პრეზიდენტი დამოუკიდებლად არ მოქმედებს და სხვის აზრს ეყრდნობა.

ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგი გიორგი გობრონიძე აღნიშნავს, რომ ვეტოს ჰქონდა იმის საშუალება, პროცესები უფრო პროგნოზირებადი გაეხადა.

„ნებისმიერი დისკუსია და ნაბიჯი ვითარების დეესკალაციისკენ არის პირველი პრიორიტეტი. მე ასე ვხედავ პროცესს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსკოვში არსებობს პირდაპირი დაინტერესება საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებით. შესაბამისად, მგონია, რომ ვეტოს ჰქონდა იმის საშუალება, პროცესები უფრო პროგნოზირებადი გაეხადა. სამწუხაროდ, მმართველ გუნდს არ აქვს იმის კეთილგონიერება, რომ ეს ვეტო არ დაძლიოს. ამის შემდეგ რთული სათქმელია, რა იქნება“, - აღნიშნა მან.

პოლიტიკის ექსპერტმა ედიშერ გვენეტაძემ კი გვითხრა, რომ პრეზიდენტი დამოუკიდებლად არ მოქმედებს. ის არის სწორედ უცხოური ძალების გავლენის ტიპური წარმომადგენელი საქართველოში. მისი თქმით, პრეზიდენტს რასაც ავალებენ ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“, იმას აცხადებს, აკეთებს და ხელს აწერს.

„ეს კანონი ისეთივე აუცილებელია დღევანდელი საქართველოსათვის, როგორც „ფარა“ ამერიკისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მიმართ დასავლეთს გაუჩნდა მომხმარებლური დამოკიდებულება, ანუ დასავლელი „მეგობრები“ საქართველოს განიხილავენ, როგორც კოლონიას, ხოლო საკუთარი თავი წარმოდგენილი ჰყავთ მეტროპოლიად. სწორედ მათი ნაცვალია საქართველოში სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ასრულებს გარე პატრონების მიცემულ დავალებებს. მათ სურთ, საქართველოში მარიონეტული და ყურმოჭრილი ხელისუფლება ჰყავდეთ, ისეთი, როგორიც ზურაბიშვილია“, - გვითხრა ედიშერ გვენეტაძემ.

რაც შეეხება უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს, მისი თქმით, პრეზიდენტად წოდებული სალომე ზურაბიშვილის მიერ ვეტო გამოყენებულია, როგორც მოლოტოვის კოქტეილი, რათა ცეცხლზე ნავთის დასხმაში დაეხმაროს ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“, „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ ანასხლეტებს და შეცდომაში შეყვანილ ახალგაზრდებს.

ამ ყველაფერს ემატება ვენეციის კომისიის დასკვნაც, რომელშიც წერია, რომ ეს კომისია მტკიცე რეკომენდაციას იძლევა კანონის ამჟამინდელი ფორმით გაუქმებაზე, რადგან მისი ფუნდამენტური ხარვეზები გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს გაერთიანებასა და გამოხატვის თავისუფლებებზე, კონფიდენციალურობის უფლებებზე, საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლებაზე და ასევე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე. საბოლოო ჯამში, ეს გავლენას მოახდენს ღია, ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე.

მმართველ გუნდში კი აცხადებენ, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა გაჯერებულია პოლიტიკური გზავნილებით, მოკლებულია სამართლებრივ-პროფესიულ დასაბუთებას და შეიცავს მთელ რიგ არასწორ ინფორმაციას. მათი თქმით, ამ დასკვნაში მრავლად ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობას და ფაქტების არაერთ უხეშ დამახინჯებას. „ქართული ოცნება“ წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ვენეციის კომისიის პლატფორმა გამოიყენეს მიკერძოებული პოლიტიკური შეფასებებისთვის, პროფესიული მსჯელობის ნაცვლად.

„ქართული ოცნება“ არ აპირებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებას, რადგან, მისი წევრების თქმით, ახლა საქართველოს ხელისუფლებაზე ხორციელდება საერთაშორისო ზეწოლა იმ კანონპროექტის არმისაღებად, რომლის ერთადერთი მიზანი, გამჭვირვალობაა.

ბუნებრივია, განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ოპოზიციაში. ისინი რასაკვირველია, ეთანხმებიან „ვენეციის კომისიის“ დასკვნას და მათი თქმით, შექმნილი რთული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია, „ქართულმა ოცნებამ“ არ დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო და მთავრობამ გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის რჩევები.

გამართლდება თუ არა მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ დაძლევს პრეზიდენტის ვეტოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ამაზე პასუხი 28 მაისს გვეცოდინება, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ.

## ქრონიკა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. „2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტები - სოფლის განვითარების, გარემოს დაცვისა და ტყის რესურსების გაუმჯობესებისთვის საჭირო მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომელიც თავისი შინაარსით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე და ტყის მდგრად მართვაზეა ორიენტირებული. სამინისტრო, 2025 წელს 17 პროგრამას განახორციელებს, რომელიც 13 ქვეპროგრამას მოიცავს. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტი, 2024 წელთან შედარებით, 7,193,707.0 ლარით გაიზრდება და 39,208,285.0 ლარით განისაზღვრება“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ბათუმის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, 26 მაისს, მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა საზეიმო აქტივობა გაიმართება ბათუმის ბულვარში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოეწყობა ეთნოგრაფიული კუთხეები, დაგეგმილია კონცერტები, საბავშვო, შემეცნებითი, სპორტული აქტივობები, ბათუმელი მეწარმეების გამოფენა, ღვინის დეგუსტაცია. 17:10 საათზე მთელი ქვეყნის მასშტაბით აჟღერდება საქართველოს ჰიმნი. 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გალა კონცერტით დასრულდება.

* * *

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის 100-მდე თანამშრომელს ტრენინგები ჩაუტარდათ. ტრენინგებისას აპარტოტელების, დიდი და მცირე ზომის სასტუმროების წარმომადგენლები, დასუფთავების სამსახურების საერთაშორისო სტანდარტებს გაეცნენ. წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით, თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგები ჯამში, ტურიზმის სექტორში დასაქმებულმა 300-მა ადამიანმა გაიარა.

* * *

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის მეორე ეტაპი დასრულდა. ოლიმპიადაში აჭარის საჯარო და კერძო სკოლების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქორეოგრაფია/სიმღერა), პროფესიული სახელმწიფო ანსამბლების, კულტურის ცენტრებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ - სულ 69 ფოლკლორული ანსამბლი და 1472 შემსრულებელი. მესამე ეტაპი - გამარჯვებული ანსამბლების გალა კონცერტი და დაჯილდოების ცერემონია 9 ივნისს, 17.00 სთ საათზე - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ჩატარდება.

* * *

ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურმა, მიმდინარე წელს, მუნიციპალურ ტრანსპორტში უბილეთო მგზავრობისთვის 3258 პირი დააჯარიმა. პრესსამსახურის ინფორმაციით, ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია, უბილეთო მგზავრობაზე მონიტორინგს ყოველდღიურად ახორციელებს. მგზავრი ვალდებულია საფასური ტრანსპორტში ასვლისთანავე გადაიხადოს.

* * *

საინვესტიციო კომპანიის „გალტ ენდ თაგარტის“ მონაცემებით, აჭარის უძრავი ქონების ბაზარზე 2023-24 წლებში საქართველოს მოქალაქეები მთლიანი გაყიდვების მხოლოდ 20%-ს შეადგენდნენ, ხოლო რუსეთისა და ისრაელის მოქალაქეებს 24% და 6%-იანი წილები ეკავათ. ამავე კვლევით, გაყიდვების მეორე ნახევარი მოიცავდა მოქალაქეებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 2018-19 წლებში დაწყებული უძრავი ქონების პროექტებში არსებული ბინებიდან მხოლოდ 20%-ია გაუყიდავი, ხოლო 2020-21 წლებში დაწყებულ პროექტებში არსებული ბინებიდან 60% მთლიანად გაყიდულია. „2024 წლის აპრილში ჩავატარეთ 5 სისტემური დეველოპერის გამოკითხვა, რომელთაც მიმდინარე სამშენებლო პროექტები აჭარაში აქვთ. კვლევის მიზანი იყო პირველად ბაზარზე გაყიდვების დაგვიანებით რეგისტრაციის საკითხის აღმოფხვრა და ბაზრის უახლესი ტენდენციების შესახებ ინფორმირებულობა, - ნათქვამია 2024 წლის I კვარტლის მიმოხილვაში“, - ვკითხულობთ „გალტ ენდ თაგარტის“ ინფორმაციაში.

* * *

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, ეროვნული ლიგის ბოლო ტურში მომხდარ ინციდენტზე, რომელიც ბათუმის „დინამოსა“ და „იბერიის“ მატჩის შემდეგ მოხდა, კომენტარი გააკეთა. „სასიხარულოა ის გარემოება, რომ როგორც ლიდერების, ისე სხვა გუნდების დაპირისპირება დიდ ინტერესს იწვევს. ძალიან ბევრს უკვე გაუჩნდა ამბიცია, ჩემპიონი გახდეს და ევროტურნირზე იასპარეზოს. ადგილის შენარჩუნებისთვისაც დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს. ამიტომ, ჩემთვის ემოციები გასაგებია. ყველა ინციდენტზე, რაც ეროვნული ლიგის თამაშებზე ხდება, სადისციპლინო კომიტეტი მსჯელობს და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იქნება. ამ მატჩში მომხდარ ამბავს სწორედ ეს ორგანო განიხილავს“, - განაცხადა მუჯირმა. შეგახსენებთ, რომ მასპინძელი გუნდის პრეზიდენტმა არჩილ ბერიძემ და მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი დემჩენკომ პრეტენზიები წაუყენეს შეხვედრის არბიტრს კოტე გიორგაძეს, რომელიც გასახდელში რამდენიმეწუთიანი პაუზის შემდეგ შევიდა.

# საით მიჰყავს საქართველო ურთიერთბრალდებების კასკადს და რას გვირჩევს შეშფოთებული დასავლეთი...

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*წლევანდელი აპრილ-მაისის პოლიტიკური მოვლენები გულგრილს არავის ტოვებს, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მიტინგები იმართება, ძირითადი მოთხოვნაა, პარლამენტმა გაიწვიოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. საყურადღებოა ისიც, რომ დასავლეთი აშკარად უკმაყოფილოა საქართველოს ხელისუფლების რიტორიკითა და ქმედებებით, რასაც დაერთო ვენეციის კომისიის დასკვნა აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით და აშშ-ის სენატორთა გზავნილები. ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია - ამას ხაზს უსვამენ ექსპერტები და ხელისუფლებას ოპოზიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეთანხმებისა და კომპრომისის მიღწევისკენ მოუწოდებენ*

დავიწყოთ უმთავრესით: „პრორუსული კანონი“, „კრემლის მარიონეტები“, „ანტისახელმწიფოებრივი მიტინგები“ - სწორედ ასე რადიკალურად განსხვავებულად აფასებენ ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები თბილისში გამართული დემონსტრაციების არსს. არც ოპოზიცია, ახალგაზრდები და არც მმართველი პარტია უკან დახევას არ აპირებენ. მთავარი კითხვაა: „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი რამდენად დაგვაშორებს დასავლეთს?

აშკარაა, რომ დასავლეთიდან უკვე გაისმა ნეგატიური შეფასებები ამ მიმართებით, კერძოდ: „ქართველი ხალხი თავის მოსაზრებას გამოთქვამს. არ შეუშინდა დაშინების ტაქტიკას, ათიათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი შეიკრიბა წვიმიან თბილისში, რათა მოსთხოვოს „ქართულ ოცნებას“ კანონის გაწვევა“, - წერს თეთრი სახლის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანი. გარდა ამისა, აშშ-ის კონგრესმენთა გადაწყვეტილებით, თუ საქართველოს ხელისუფლება შეწყვეტს ანტიდემოკრატიულ სვლას, ჩაატარებს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, დაიცავს ადამიანის უფლებებს, მაშინ ხელი მოეწერება აშშ-სთან ვიზალიბერალიზაციას, ახალ სავაჭრო და ყოვლისმომცველ თავდაცვის პაკეტს. თავის მხრივ, მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება სუვერენიტეტით არ ვაჭრობს და ამერიკას თავის დროზე უნდა გაეკეთებინა ზემოაღნიშნული სიკეთეები საქართველოსთვის. ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ არ დასჭირდებათ სანქციების დაწესება. „საქართველოს არ აქვს იმდენი რესურსი, რომ: პირველი - დათრგუნონ მოსახლეობის ნება, მეორე - ქვეყანამ გაუძლოს საგარეო ეკონომიკურ-პოლიტიკურ წნეხს და მესამე - ამ ყველაფრის გათვალისწინებით შენარჩუნდეს სტაბილურობა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ველზე“ - ამბობს გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი გიორგი გობრონიძე. თავის მხრივ მმართველი პარტია აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული კანონი მიიღეს, რათა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა გამჭვირვალე იყოს და დესტრუქციულმა ძალებმა ქვეყანაში არ მოაწყონ სახელმწიფო გადატრიალება. ამ ნარატივს არასწორად მიიჩნევენ ექსპერტები (გია ხუხაშვილი, ხათუნა ლაგაზიძე, გიორგი გობრონიძე...). მათი თქმით, ამ კრიზისამდე საქართველოს ჰქონდა დიპლომატიური წარმატება როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით. კერძოდ, შევძელით გაგვეჭრა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა ჩინეთისკენ, ასევე, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი, ამიტომ ექსპერტებისთვის მოულოდნელი იყო ხელისუფლების ინიციატივა ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, არის რაღაც, რაც სააშკარაოზე არ გამოდის, თუმცა, როგორც თქმულა: „არარაი არს დაფარული, რომელი არა გაცხადნეს“. სავარაუდოდ, ყველაფერი მაინც მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

აშკარაა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სამზადისი აქტიურ ფაზაშია, სწორედ ამ მხრივაა საყურადღებო ბოლოდროინდელი მოვლენები, წინასაარჩევნო მარათონი არაოფიციალურად დაწყებულია, წამზომი ჩართულია. როგორც მმართველი პარტია, ისე ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში საკუთარი მანდატებისთვის იბრძვიან. პოლიტიკურ სურათს თუ შევაფასებთ, ქვეყანაში ფეთქებადსაშიში ვითარებაა. ამ მხრივ გახმიანდა „ლეიბორისტული“ პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის მოსაზრება, რომელიც მოუწოდებს ოპოზიციას, შექმნან ერთიანი ფრონტი ანუ დროებითი მთავრობა და მოსთხოვონ დასავლეთს, რომ არსებული ხელისუფლება უზურპატორად გამოაცხადონ. მისივე თქმით, უნდა დაიწყოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კამპანია... მკითხველს შევახსენებ, ეროვნული დაუმორჩილებლობის კამპანიის განხორციელებას არა მხოლოდ გამოკვეთილი ლიდერი სჭირდება, არამედ ფინანსური რესურსები, ასევე, ნათელი სტრატეგია და დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა, რაც ამჟამინდელ ოპოზიციას არ გააჩნია. სხვათა შორის, თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ სწორედ ეროვნული დაუმორჩილებლობის კამპანია ააგორა ქვეყანაში (მოითხოვა დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება). ამ მიზნით მან სამტრედიის რკინიგზა გადაკეტა, რამაც, პრაქტიკულად, სამხრეთ კავკასიის რკინიგზის პარალიზება მოახდინა. მაშინ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა... მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა - მმართველ პარტიას სადავეები ჯერჯერობით მტკიცედ უჭირავს ხელში.



აღსანიშნავია, რომ დასავლეთის კრიტიკამ საქართველოს ხელისუფლების მიმართ იმატა. თუ რეალურად გავაანალიზებთ ამერიკელი სენატორების და ევროპარლამენტარების გზავნილებს, უნდა ითქვას, რომ მათი არსია: საქართველოს ნათლად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული საკუთარი ადგილი არსებულ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაში და ამავდროულად, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ოპოზიციის შენიშვნები გაითვალისწინოს. ცხადია, ამ გზავნილებთან დაკავშირებითაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში აზრთა სხვადასხვაობაა.

> ,, *აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ამჟამინდელ გზავნილებს რა პროცესები მოჰყვება საქართველოში, ამას მომავალში გავიგებთ. ცხადია, მმართველი პარტია პოზიციას არ ცვლის, თუმცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე კანონში გარკვეული მუხლების ამოღებას არ გამორიცხავს, რაც, ექსპერტთა თქმით, შესაძლოა, კომპრომისისკენ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს*

ოპოზიციის თქმით, აშშ-მა წითელი ბარათი უჩვენა საქართველოს ხელისუფლებას. ვენეციის კომისია მკაცრი რეკომენდაციით გამოდის, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი გაწვეულ იქნას მისი ამჟამინდელი ფორმით, ხოლო მმართველი პარტია აცხადებს, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა ზედაპირულია. ასევე, მათი თქმით, ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, დეზინფორმაციის გავრცელებითაა დაკავებული. სხვათა შორის, აშშ-ის სენატორების მსგავსი გზავნილები წარსულში ხელისუფლების ცვლილებით მთავრდებოდა. მაგალითად, შევარდნაძის და ბეიკერის შეხვედრის შემდეგ საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა... 2012 წლის ზაფხულში ჰილარი კლინტონის სტუმრობას და მის მიერ გახმოვანებულ გზავნილებს მაშინდელი ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა, ასე რომ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ამჟამინდელ გზავნილებს რა პროცესები მოჰყვება საქართველოში, ამას მომავალში გავიგებთ. ცხადია, მმართველი პარტია პოზიციას არ ცვლის, თუმცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე კანონში გარკვეული მუხლების ამოღებას არ გამორიცხავს, რაც, ექსპერტთა თქმით, შესაძლოა, კომპრომისისკენ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს.

საინტერესო მოსაზრებას აფიქსირებენ პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები. მაგალითად, „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერ ზურა ჯაფარიძის თქმით, თუ ხელისუფლება არ გააუქმებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს, შედეგი საქართველოსთვის საბედისწერო იქნება, დავშორდებით დასავლეთს, რაც ავტომატურად რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას ნიშნავს. ანალოგიური შეხედულებისაა პარტია „ახალის“ ლიდერი ნიკა მელია: „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებით მმართველი პარტია ქვეყანაში დიქტატურას დაამყარებს“, მმართველი გუნდის წევრების, თქმით კი ზემოაღნიშნული კანონი ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.



საყურადღებოა ექსპერტ კახა გოგოლაშვილის მოსაზრება: „როგორც კი მმართველი პარტია ზემოაღნიშნულ კანონს დაამტკიცებს, შედეგი ის იქნება, რომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს ვერ დავიწყებთ ვერც წელს და ვერც გაისად... ასევე, შესაძლოა, შეგვიმცირდეს დახმარება და მხარდაჭერა“. დამაფიქრებელია ექსპერტ ნოდარ ხარშილავას თვალსაზრისიც: „სამყაროს ახალი გადანაწილება მოხდება, რუსეთ-უკრაინის ომიც რაღაც ეტაპზე რაღაც ფორმით დასრულდება და სადაც გაივლის ხაზი, იქ დაიწყება ახალი წესრიგის დამყარება, ერთ მხარეს ავტოკრატიული, მეორე მხარეს კი დემოკრატიული. მე არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა იაროს ტულაში, მინდა, ტულუზაში იაროს...“.

ცხადია, რომ ამ მიმართულებით ქვეყანას ყველაზე მეტად დღეს სჭირდება პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური კეთილდღეობა. თუ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ტემპი არ დაჩქარდა, ხელისუფლებას არ ექნება რესურსები, ადეკვატურად უპასუხოს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, მას გაუჭირდება საზოგადოების წინაშე ვალდებულებების შესრულება, ამიტომ, ექსპერტთა აზრით, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ოპოზიციასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომპრომისს მიაღწიოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხში და, რაც მთავარია, არჩევნები მშვიდობიან გარემოში ჩაატაროს, რათა დასავლეთისგან იზოლირებული არ აღმოვჩნდეთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ევროპული კურსი, რომელიც ქართველი ერის გაანალიზებული ხედვაა, რაც აისახა რეფერენდუმზე.

# „გირჩს“ როცა ახსენებენ, ყველამ იცის, ამ პარტიას რა უნდა“

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

***ყველასთვის ნათელია, რომ ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური გარემოა. გადაადგილებებია პოლიტიკურ სცენაზე ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, რისი უმთავრესი მიზეზი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონია, რომელიც, ოპოზიციის თქმით, რუსულია და მიზნად ისახავს სახელმწიფოში დიქტატურის დამყარებას, რასაც მმართველი პარტია არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ოპოზიცია, ძირითადად, დეზინფორმაციითაა დაკავებული***

*აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთი შეშფოთებულია და ხელისუფლებას ზემოაღნიშნული კანონის გაუქმებას ურჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას დახმარების შეწყვეტას არაორაზროვნად უწინასწარმეტყველებს. როგორც ჩანს, რეალურად, ბრძოლაა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ამიტომაც ოპონენტები ერთმანეთს არ ინდობენ, რაც საქართველოში მიმდინარე პროცესებს კიდევ უფრო ართულებს. უდავოა, რომ საფრთხეების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. რა გზითაა შესაძლებელი მათი თავიდან აცილება? - ამის შესახებ „გირჩი - მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ* ***თემურ გორგაძეს*** *ვესაუბრეთ.*

**- საუბარი ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარებით დავიწყოთ, რა მოვლენებს გამოჰყოფდით?**

- ამ ეპოქის ქართველებს საქართველოს ისტორიაში პირველად გვაქვს შანსი და პრივილეგიაც, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის გზით ქვეყანა გავიყვანოთ სამშვიდობო გზაზე. ეს შანსი, პრაქტიკულად, ლანგრით მივიღეთ. უკრაინაში რუსულმა აგრესიამ ცივილურ სამყაროს აჩვენა, რომ არ შეიძლება პატარა მოკავშირეების მიტოვება რუსეთის პირისპირ, ამიტომაც მოგვეცა შესაძლებლობა, 2030-ში გავხდეთ იმ სივრცის სრულუფლებიანი წევრი, რაზეც ჩვენი წინაპრები ოცნებობდნენ, მაგრამ ბედის ირონიაა ალბათ, რომ ისტორიის ამ მონაკვეთში გვყავს ხელისუფლება, რომელიც თავისი ქმედებით ჩვენი წინაპრების საუკუნოვან ოცნებას აყოვნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ აპირებს უკეთესი მომავლის დათმობას.

**- პარლამენტმა ახალგაზრდების, ოპოზიციის, დასავლეთის პროტესტის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. რა არის თქვენი შეშფოთების საფუძველი?**

- არანაირი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ეს არ არის. ასე სახელისუფლებო პარტიასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია, მაგრამ არის კი ქართველების ოცნება რუსეთი?! ცალსახად - არა! სხვათა შორის, მდინარაძე და კობახიძეც გაიძახიან, ევროპა გვინდაო, მაგრამ მათი ქმედებები საპირისპიროს ამტკიცებს. ამიტომ ეს კანონი არის არა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის, არამედ რეპრესიების, დაშინების, რუსულ გზაზე დაყენებისა და ადამიანების აგენტებად შერაცხვის კანონი. ჩემი შეშფოთების საფუძველი ბევრი რამ არის, შემიძლია კანონს მუხლობრივად ჩავყვე. რომ გაიძახიან, ვინმემ არგუმენტი გვითხრასო, აგერ თქვენი მედიის მეშვეობითაც ვთავაზობ ხელისუფლების ნებისმიერ წევრს, თუნდაც აჭარის მასშტაბით, პირდაპირ ეთერში დავუჯდე და დავუმტკიცო, რომ ეს კანონი რუსულია. ასევე, პირდაპირ ეთერში დისკუსია შესთავაზა მათ ჩვენი პარტიის თავმჯდომარე ზურა ჯაფარიძემ. გაბედეს? ვერა! რა თქმა უნდა, ვერ გაბედავენ. თავადაც იციან, რომ კანონი რუსულია, ამიტომ, როგორც იტყვიან, წყალს ნაყავენ. ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის, რომ თითქმის არავინ დარჩა, არ ეთქვას, რომ ამ კანონის მიღება გამოიწვევს ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო მოვლენებს: უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერებას, კანდიდატის სტატუსის შესახებ მოლაპარაკების დაწყების გადავადებას და ასე შემდეგ. ეს კანონი სულაც რომ ოქროსი იყოს, ამ ყველაფერს რომ აზიანებს, რატომ უნდა მიიღო, თუ ქვეყნის ინტერესების მოღალატე არ ხარ?! გამჭვირვალობაზე რომ აპელირებენ და გაიძახიან, დეკლარაციის ჩაბარებას ვითხოვთო, საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი იურიდიული პირი, იქნება ეს შპს, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ეგრეთ წოდებული ენჯეო) შემოსავლების სამსახურში აბარებენ ყოველთვიურ და, ასევე, ყოველწლიურ დეკლარაციას. შემოსავლების სამსახურს ონლაინრეჟიმში, ნებისმიერ წამს შეუძლია ნახოს, ვინ რა შემოსავალი მიიღო და რაში დახარჯა, რამდენი გასცა ხელფასი და ასე შემდეგ. ამასთანავე, გრანტებს კიდევ ცალკე კანონი არეგულირებს, ასევე, თითქმის ყველა არასამთავრობო საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს აღნიშნულ ინფორმაციებს, ენჯეოები, რეალურად, სამჯერ მოწმდება, ეს გამჭვირვალობა არაა? მოკლედ, ხელისუფლება ასეთი ქმედებით დასავლეთს გვაშორებს, ესაა ჩემი შეშფოთების მიზეზიც.



***„ ეს საკითხი მთელი ქვეყნისთვის მთავარი პრობლემაა, მაგრამ ჩვენი პარტიისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. ნებისმიერი კვლევით, ჩვენი ამომრჩევლების უმრავლესობა ახალგაზრდაა, რომლის დიდი ნაწილი არჩევნებზე არ დადის. ხშირად ვხუმრობ ხოლმე: ყველა, ვისაც მოვწონვართ, არჩევნებზე რომ დადიოდეს, ხელისუფლებაში ვიქნებოდით-მეთქი***

**- მმართველი გუნდის წევრები ამბობენ, რომ კანონი ევროპულია და ოპოზიციის შენიშვნები უსაფუძვლოა...**

- მმართველი პარტიის წევრებს ჰგონიათ, რომ ხალხმა კითხვა არ იცის. ეს კანონი რომ ევროპული არაა, მათ თავად ევროპელებმა უთხრეს. გერმანიის კანცლერმა შოლცმა კობახიძეს პრესკონფერენციაზე უთხრა, ტყუილს ამბობო. ისე, „გუგლის“ მოხმარება ყველამ ისწავლა და თუ მოძებნის, ყველა ნახავს, რომ მსგავსი კანონი არცერთ ევროპულ ქვეყანაში არ არსებობს. „ქართული ოცნება“ საუბრობს ევროკავშირში ინიცირებულ კანონპროექტზე, რომელსაც მმართველი პარტიის მიერ ინიცირებულ რუსულ კანონთან არანაირი თანხვედრა არ აქვს. თავად ევროპელები მიუთითებენ, რომ ეს კანონპროექტი მხოლოდ ინიცირებულია და, დიდი ალბათობით, კანონად არ იქცევა.

**- ევროპარლამენტარებისგან და ასევე ამერიკელი სენატორებისგან გაისმა მუქარა საქართველოს ხელისუფლების წევრებისთვის სანქციების დაწესების შესახებ. ეს რისი მანიშნებელია?**

- „ქართული ოცნება“ დღითი დღე ემსგავსება რუსეთს. მისი ქმედება დაახლოებით, იცით, რას ჰგავს? საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების წევრებმა რომ თქვან - ჩვენ ხელით თამაში გვინდა, ასევე, სტადიონზე ჩოხა-ახალუხით უნდა გამოვიდეთო. უეფამ რომ უთხრას - ხალხო, არ შეიძლება ეს, ჩვენს წესებს ეწინააღმდეგებაო და მაინც უეფას რომ დაუწყონ კრიტიკა - უეფა რა ცუდია, ჩოხა-ახალუხით არ გვაძლევს თამაშის უფლებასო. საბოლოო ჯამში, თუ გავალთ სტადიონზე და ხელით თამაშს დავიწყებთ, დაგვაჯარიმებენ, ასევეა, ევროპის და ამერიკის ქმედებაც, მთავრობა არღვევს წესებს, ისინიც შესაბამისად იქცევიან.

**- ექსპერტთა თქმით, თუ ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს შეუჩერებს, ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდება. რას ფიქრობთ?**

- მხოლოდ კანდიდატის სტატუსის შეჩერებაზე არ არის საუბარი, არამედ - უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერებაზეც. ჯერ ამერიკის მხრიდან სანქციები არ ყოფილა გაჟღერებული, პრაქტიკულად, ევროკავშირს ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადაუდგამს და უკვე ქართული კომპანიების 3 მილიარდამდე ლარი აორთქლდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ეს მაშინ, როცა ჯერ დასავლეთის მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

**- არ წყდება ქვეყანაში ანტისახელისუფლებო მიტინგები. რა ცხადყო მან? გახმიანდა ეროვნული დაუმორჩილებლობის კამპანიის თაობაზე განაცხადიც ოპოზიციის მხრიდან....**

- აქციებმა ცხადყო ბევრი რამ, მათ შორის ის, რომ ეს ხალხი, ეს ახალგაზრდა თაობა, რომელიც ამ პროტესტის ავანგარდში დგას, რეალურად არ დაღლილა და არ დათმობს საკუთარ მომავალს. ამ აქციებმა ცხადყო ისიც, რომ მმართველი პარტიის პროპაგანდა ვერ მოქმედებს ჯენზი თაობაზე, რადგან ყველა წინა აქციას ჰყავდა ერთი ან რამდენიმე გამოკვეთილი ლიდერი, შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ამ ლიდერებს აშავებდა და პროტესტის დისკრედიტაციას ახერხებდა. ახლა სხვა სიტუაციაა, მასობრივი აქტიურობაა, ამას ყველა ვხედავთ. ბათუმში მოწყობილ თითქმის ყველა საპროტესტო აქციაზე ვიდექი, როცა ერთ-ერთ აქციაზე მონაწილეებმა ვერ დამინახეს, დაწყებიდან ათი წუთი არ იყო გასული, რომ მომიკითხეს... თუ სხვა დროს აქციებზე პოლიტიკოსები ცდილობდნენ ხალხის გაყვანას, ახლა პირიქითაა, ხალხი გამოვიდა და პოლიტიკოსები მოიკითხა. იმის თქმა მინდა, რომ მე კი არავინ გავიყვანე, იქით გამიყვანეს აქციაზე. როცა ხალხი ასე იქცევა, შენ, მოწინააღმდეგევ (ვინც უნდა იყო), რამდენიც უნდა აშავო თემურ გორგაძე (ან ვინმე სხვა), აზრი არ აქვს მაგ კამპანიას, არაფერი გამოვა.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის მიზანია ქვეყნის დესტაბილიზაცია და რევოლუციის მოწყობა...**

- არცერთი რევოლუცია არასოდეს მოუწყვია ოპოზიციას, რევოლუციას აწყობს ორი ფაქტორი - თავად ხელისუფლება და ხალხი, თუ ხელისუფალი იქცევა ისე, რომ ხალხს მეტი გამოსავალი არ რჩება. დიახ, ხალხი აწყობს რევოლუციას. ზემოთ უკვე გითხარით, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებს აქციაზე იქით გავყავარ და როგორ შეიძლება მე მოვაწყო რევოლუცია? მართლა ვინმეს ჰგონია, რომ იმ აქციებზე ხალხი ოპოზიციური პარტიების დაკვეთით დადის? ეს ხომ სისულელეა. ამდენი ხალხის აქციაზე გამოყვანა რომ რომელიმე პარტიას შეეძლოს, ბიძინა ივანიშვილი დიდი ხნის გაქცეული იქნებოდა მოსკოვში. აქციის მონაწილეთა დიდი ნაწილი აპარტიულია, იცის, რომ არ უნდა რუსეთი და ამიტომ დადის იქ.

**- ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ზემოაღნიშნული კანონის მიღება მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება. რა სტადიაშია ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანია და ხომ არ იგეგმება ერთიანი პლატფორმის შექმნა?**

- აღნიშნული კანონის მიღება მხოლოდ არჩევნებს არ შეიძლება უკავშირდებოდეს. კი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზანი ეგეც არის, მაგრამ არა - ერთადერთი. აღნიშნული კანონი გრძელვადიან მიზანზეა გათვლილი, რომელიც ქვეყანაში დიქტატურას დაამყარებს და დააშორებს ცივილურ სამყაროს. რაც შეეხება ოპოზიციას და ერთიან პლატფორმას, ამ მხრივ ჩვენი პარტია ძალიან პირნათელია. დიახ, პრაქტიკულად, ორ წელზე მეტია, სულ იმაზე ვსაუბრობთ, რომ საჭიროა დიდი ერთობა, თუ გვინდა რუსეთის მოშორება. თავიდან ამაზე საუბარი რომ დავიწყე, ოპოზიციაშიც კი ბევრმა დაგვცინა, გვლანძღეს და ასე შემდეგ. ახლა კი ყველა ხვდება, რომ ერთადერთი გამოსავალი დიდი ერთობაა. გადით ქუჩაში, გააჩერეთ ოპოზიციურად განწყობილი 10 ამომრჩეველი და ჰკითხეთ, რა უნდათ მათ: ათიდან, ალბათ, მინიმუმ, რვა გეტყვით, რომ უნდა გაერთიანდეს ოპოზიცია და მოვუგებთ ბიძინას. დიახ, ესაა გზა, თავის დროზე ასე მოუგო ბიძინამაც მიშას... ამ ქვეყანაში დასავლეთის მსურველთა რაოდენობა რუსეთის მსურველებს ყოველთვის ათჯერ აღემატებოდა, ასეა ახლაც.

**- წინა არჩევნებში ბრძოლა ორ პოლიტიკურ ძალას შორის მიმდინარეობდა, ამჯერად გამოჩნდება რეალური მესამე ძალა?**

- არა, არცერთ წინა არჩევნებზე ბრძოლა ორ ძალას შორის არ მიმდინარეობდა. ეს იყო ბიძინა ივანიშვილის პროპაგანდა, რომ აქეთ ჩვენ ვართ, იქით - სისხლიანი ნაცები და მორჩა. წინა და სხვა ნებისმიერ არჩევნებზე 20-30 პარტია იყო ბიულეტენში. მართალია, ფინანსები და მედია (რაც არჩევნების მოსაგებადაა საჭირო) შეიძლება ცოტას ჰქონდა და აქვს ახლაც, მაგრამ რეალურად ამ ქვეყანაში ბევრია პარტიაც და ამომრჩეველიც, ვინც არც „ნაცმოძრაობას“ და არც „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხმას. რაც შეეხება ჩვენს პარტიას, ამ ქვეყანაში ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მკაფიო იდეოლოგიის მქონე პარტია ვართ. მაშინ როცა ხელისუფლებაში რუსები გიზიან და როცა იცი, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ რუსების მოსაშორებლად ერთი დიდი ერთობაა, გვიწევს ხოლმე პარტიული ამბიციების გვერდზე გადადება და საერთო ბრძოლაში შესვლა. ამას ვემხრობოდით, მინიმუმ, 2022 წლიდან და ამას ვემხრობით ახლაც, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ დიდი ერთობა არ გამოვა (რაც ძალიან მეეჭვება). ჩვენ ცალკე არ გავალთ. ასეც და ისეც ბრძოლისთვის მზად ვართ იმ შესაძლებლობებითა და რესურსებით, რაც გვაქვს.

**- 2020 წლის არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის 45 პროცენტი არჩევნებში არ მონაწილეობდა, ამ მხრივ, ოპოზიცია რამდენად საფუძვლიანად უხსნის მათ არჩევნების მნიშვნელობას?**

- ეს საკითხი მთელი ქვეყნისთვის მთავარი პრობლემაა, მაგრამ ჩვენი პარტიისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. ნებისმიერი კვლევით, ჩვენი ამომრჩევლების უმრავლესობა ახალგაზრდაა, რომლის დიდი ნაწილი არჩევნებზე არ დადის. ხშირად ვხუმრობ ხოლმე: ყველა, ვისაც მოვწონვართ, არჩევნებზე რომ დადიოდეს, ხელისუფლებაში ვიქნებოდით-მეთქი. ხელისუფლებაში ალბათ ვერა, მაგრამ საკმაოდ მაღალი პროცენტი კი გვექნებოდა. არჩევნებს პარტიის მხრიდან სჭირდება მენეჯმენტი, მენეჯმენტს - ფინანსური რესურსი და სამწუხაროდ, ეს ის საკითხია, რაც ჩვენ არ გვაქვს მოგვარებული, მაგრამ ამ არჩევნებზე ბევრს ვმუშაობთ საამისოდ, ასევე, ვზრუნავთ ემიგრანტების საარჩევნო ხმის უფლებისათვის (გვაქვს პროექტი „საარჩევნო ყუთი - შენს ქალაქში“). ხელისუფლება ისე იქცევა, რომ დიდიან-პატარიანად ყველა გაბრაზებულია, ამიტომ იმედი მაქვს, ამ არჩევნებზე ბევრი ხალხი მოვა.

**- დაბოლოს, როგორი იქნება ძალთა გადანაწილება მომავალ პარლამენტში?**

- როგორი იქნება ძალთა გადანაწილება, ამის წინასწარ თქმა ზღვაში ანკესის ჩაგდებას ნიშნავს. პროგნოზირება არ მიყვარს, მინდა რომ იყოს კოალიციური მთავრობა, სადაც ჩემს პარტიას არ ექნება ალბათ უმრავლესობა, მაგრამ - გადამწყვეტი ხმა. არჩევნებამდე მინდა წინასწარ შევუთანხმდე პარტიებს შინაარსობრივ საკითხებზე, დროულად იცოდეს ამომრჩეველმა, რომელ პარტიას რა სურს, რადგან ჩვენ კლასიკური ლიბერალიზმის (ლიბერტარიანიზმის) მიმდევარი პარტია ვართ. „გირჩს“ როცა ახსენებ, ყველამ იცის, ამ პარტიას რა უნდა, რას ითხოვს, რა იდეოლოგია აქვს და რას ქადაგებს.

# რამდენად სანდო და მომგებიანია ონლაინშოპინგი საქართველოში?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*ონლაინშოპინგი სულ უფრო პოპულარული ხდება და ეს არცაა გასაკვირი. 21-ე საუკუნეში ადამიანების უმეტესობას აღარ რჩება დრო იმისთვის, რომ სასურველი პროდუქტის შესაძენად დაუსრულებლად იაროს მაღაზიებში. შესაბამისად, უპირატესობას ონლაინყიდვას ანიჭებს. არიან ადამიანები, რომლებიც თავად იწერენ ტანსაცმელს სხვადასხვა უცხოური გვერდიდან, გარკვეულ კატეგორიას კი ურჩევნია, „ფეისბუქში“ ონლაინგამოწერით ისარგებლოს სწრაფად და მარტივად*

*ჩვენი რესპონდენტი 26 წლის* ***ნინო ხავთასია,*** *რომელიც უკვე 6 წელია, რაც ონლაინგამოწერის გვერდს ხელმძღვანელობს და ფეისბუქზე 50000-მდე მიმდევარი ჰყავს. მისი გვერდი „აიქონიქი“ დღეს საქართველოში ძალიან პოპულარულია და უამრავ კმაყოფილ მომხმარებელს აერთიანებს.*



**- საიდან დაგებადათ გვერდის შექმნის იდეა?**

- 2019 წლის ზაფხულში, როდესაც უნივერსიტეტში მესამე კურსი დავასრულე, აღმოვაჩინე, რომ ჩემი სტუდენტური ბიუჯეტი ისეთი საზაფხულო გარდერობის შექმნას ვერ გასწვდებოდა, როგორიც მინდოდა. პარალელურად, მეგობრებისგან ხშირად მესმოდა, რომ უცხოური ონლაინმაღაზიებიდან საქონლის გამოწერა ბევრად ბიუჯეტური იყო, თუმცა როგორ ხდებოდა ეს, დეტალები ზუსტად არავინ იცოდა. ბევრი ძიების შემდეგ აღმოვაჩინე რამდენიმე საიტი, საიდანაც კარგი ნივთების გამოწერა ძალიან ხელმისაწვდომ ფასად იყო შესაძლებელი. დავრეგისტრირდი გადამზიდ კომპანიაში და ჩემთვის სატესტოდ რამდენიმე ნივთი გამოვიწერე. ძალიან დიდი მოლოდინი მქონდა და გამიმართლა კიდეც. ყველა ნივთი იდეალურ მდგომარეობაში ჩამოვიდა. მაშინ დავფიქრდი - რატომაც არა, სტუდენტი ვარ, ჯიბის ფული მჭირდება და ვცდი-მეთქი. იმავე დღეს შევქმენი გვერდი ფეისბუქზე, თან ჩემს მეგობარს ვთხოვე ფოტოსესიაში მონაწილეობის მიღება ამ სატესტოდ გამოწერილი ნივთებით, რათა გარეკანის და პროფილის ფოტოებისთვის ორიგინალური კონტენტი შემექმნა. მინდოდა, გვერდი თავიდანვე ისეთი ყოფილიყო, რომ გამომწერებს მარტივად შესძლებოდათ ჩვენი გამორჩევა სხვა მსგავსი გვერდებისგან. საწყის ეტაპზევე ძალიან მარტივად და ბუნებრივად წარიმართა ყველა პროცესი და ალბათ, ამან განაპირობა, რომ დღეს „აიქონიქი“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული ონლაინმაღაზიაა ამ სფეროში.

**- „აიქონიქ“ - რატომ ეს სახელი?**

- მინდოდა, ისეთი სახელი რქმეოდა, რომელიც შედარებით იშვიათი იყო. სიტყვა „აიქონიქ“ ამერიკული სატელევიზიო გადაცემებიდან ხშირად მესმოდა და ყურადღებით მომწონდა. მნიშვნელობაც კარგად გავიაზრე. „აიქონ“ ნიშნავს რაღაცის სიმბოლოს, ხატს, ხშირად გამოიყენება იმ ადამიანების და მოვლენების აღსაწერად, რომლებიც გარკვეული მომენტისთვის ყველაზე პოპულარული და ცნობილები არიან. მსურდა, ჩემი გვერდის სახელსაც მსგავსი დატვირთვა ჰქონოდა.

**- ბევრი კმაყოფილი მომხმარებელი გყავთ და ეს თქვენს გვერდზეც ჩანს კომენტარების სახით. არ არის მარტივი, სოციალურ ქსელში 50 ათასამდე მიმდევარი ჰყავდეს ონლაინგამოწერის გვერდს. როგორ მოახერხეთ ეს?**

- თავდაპირველად, აქტიურად ვიყენებდი „Facebook ads“-ის ხელსაწყოს, თუმცა შემდეგ, როცა გავიაზრე, რამდენად დიდი შედეგის მომტანი იყო საკუთარი ხელით შექმნილი კონტენტი, საერთოდ დავივიწყე ამ ხელსაწყოს არსებობა. ჩემი რეკლამა დღემდე არის ჩემი კონტენტი, რომელსაც ვაზიარებ ყველა პლატფორმაზე, როგორც „ფეისბუქზე“, ასევე „ინსტაგრამზე“ და ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვან „ტიკტოკზე“. დღეს „ტიკტოკის“ მეშვეობით არც ისე რთულია ლოიალური აუდიტორიის ნდობის მოპოვება, ყველაზე მეტად ალბათ ეს მეხმარება ახალი გამომწერების მოზიდვაში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია უკვე გამოცდილი მომხმარებლების რეკომენდაციები თავიანთ წრეში. ერთი კმაყოფილი მომხმარებელი უკვე ნიშნავს რამდენიმე ახალ პოტენციურ მომხმარებელს. ჩემი მთავარი ამოცანაც ის არის, მომხმარებელი ჩემი მომსახურებითა და პროდუქტით იმდენად კმაყოფილი დავტოვო, რომ მას თავად გაუჩნდეს მოტივაცია, სხვებსაც გაუზიაროს ჩვენ შესახებ.

**- როგორ მოიპოვეთ მომხმარებლების ნდობა?**

- ნდობის მოპოვება ონლაინმაღაზიებისთვის შედარებით რთული ამოცანაა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ინტერნეტსივრცეში ძალიან ბევრი მათგანი თაღლითობს და ამის მაგალითებს მომხმარებლები სხვადასხვა ჯგუფის მეშვეობით ხშირად აზიარებენ კიდეც. მომხმარებლების ნდობა მოვიპოვეთ იმით, რომ გვერდი, ფაქტობრივად, მუშაობს მხოლოდ ორგანული, რეალური კონტენტით, რომელსაც ჩემს პატარა სტუდიაში თავად ვქმნი. ძალიან ხშირად ვაზიარებ ნივთების რეალურ ფოტოებსა და ვიდეოებს, ასევე, კომენტარებისა და რევიუების სახით მუდმივად ვიღებ დადებით უკუკავშირს გამოცდილი მომხმარებლებისგან. როდესაც ამას ხედავს გამომწერი, ის უკვე მარტივად გენდობა.

**- რამდენად მომგებიანია ონლაინშოპინგი საქართველოში?**

- ვიტყოდი, რომ საკმაოდ მომგებიანია. თუ გამომწერებს სისტემატურად უზიარებ საინტერესო ნივთებს, მომხმარებელი მუდმივად გყავს. მთავარია, როგორ აწვდი მათ ამ ყველაფერს და რამდენად ზრუნავ, რომ საბოლოოდ კარგი შედეგი მიიღო.

**- თქვენი გადმოსახედიდან, რა არის ონლაინშოპინგის უპირატესობა?**

- პირადად ჩემთვის ძალიან დამღლელია მაღაზიებში სიარული, ეს გართმევს ძალიან დიდ დროსა და ენერგიას. ალბათ, პირველ რიგში, სწორედ ეს არის ონლაინშოპინგის ყველაზე დიდი უპირატესობა, რომ შენ მარტივად, სწრაფად და თან შედარებით ბიუჯეტურად შეგიძლია იპოვო შენთვის საინტერესო ნივთები ონლაინსივრცეში.

**- არსებობს სტერეოტიპი, რომ გამოწერილი ტანსაცმელი ხშირად ისეთი არ არის, როგორიც ჩანს და საერთოდ, სხვა ხარისხის და ზომის ჩამოდის...**

- ეს სტერეოტიპი დღემდე ძალიან პოპულარულია. მეც მქონია ასეთი შემთხვევა წარსულში, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ძალიან იშვიათია, თუკი საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდები. გარდა ამისა, „აიქონიქი“ მუდმივად აზიარებს რეალურ კონტენტს, არა საიტისას, არამედ ჩვენსავე სტუდიაში გადაღებულს, რაც მინიმუმამდე ამცირებს მსგავს ფაქტებს.

**- პირადად თქვენ ხომ არ მოუტყუებიხართ კომპანიებს ნივთის გამოგზავნისას?**

- სამწუხაროდ, კი, თუმცა ეს არ ეხება მომხმარებლების ნივთებს. როდესაც ბაზარზე ახალი, საინტერესო „სელერი“ შემოდის, ვცდილობ, დავტესტო. ამ მიზნით ვიწერ რამდენიმე ნივთს, უმეტეს შემთხვევაში, ეს ამართლებს, მაგრამ არის გამონაკლისიც - ნივთი კი ჩამოდის ისეთი, როგორიც ფოტოებზეა, მაგრამ დაზიანებულია. ასეთ დროს მაღაზიას უწევს პასუხისმგებლობის აღება. მომხმარებელს თანხას სრულად ვუნაზღაურებ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ თანხას არავინ გვინაზღაურებს. ეს პრობლემა არა მხოლოდ თანხის დაკარგვის გამოა ყველაზე რთული, არამედ იმიტომაც, რომ შეიძლება მომხმარებელს ეს ნივთი კონკრეტული დღისთვის სჭირდებოდა. როდესაც ასეთ მდგომარეობაში ჩამოდის, გიწევს უარის თქმა მიწოდებაზე და საბოლოოდ, მომხმარებელი განაწყენებული რჩება. ყველაზე დიდი გამოწვევა ეს არის დღეს ჩემთვის ონლაინგამოწერის ბიზნესში, თუმცა, საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები იშვიათია.

**- გყოლიათ თუ არა უკმაყოფილო მომხმარებლები?**

- კი, თუმცა თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა მახსენდება. ძალიან ვცდილობ, ყველანაირად მოვერგო მათ სურვილებს. თუ ნივთი არ ჩამოდის ისეთი, როგორიც უნდა იყოს, ან დაზიანებულია, ყოველთვის ვანაზღაურებ თანხას და ალტერნატიული სამოსის მოძიებაშიც ვეხმარები. ამას, რა თქმა უნდა, მინიმუმამდე დაჰყავს უკმაყოფილება.

**- რას იწერს უფრო ხშირად მომხმარებელი?**

- კაბას. ვფიქრობ, ჩვენი განსხვავებული კაბების კოლექციების გამო უყვარს მომხმარებელს „აიქონიქი“. ძალიან ხშირად აღნიშნავენ ამას კომენტარებშიც.

**- რა ტიპის მომხმარებელი გყავთ უფრო მეტად?**

- ჩვენი აუდიტორიის ძირითადი ნაწილი 18-დან 35 წლამდე ასაკის ქალია.

**- რამდენად ბიუჯეტურია ონლაინშოპინგი?**

- ადგილობრივ ქართულ მაღაზიებთან შედარებით საკმაოდ ბიუჯეტურია, ხშირ შემთხვევაში - ორჯერ ან მეტადაც კი. მაღაზიებს არ დავაკონკრეტებ, თუმცა მომხმარებლებისთვის მარტივად გასაგები იქნება, რომელ ბრენდებს მოვიაზრებ.

**- როგორ ხედავთ ონლაინშოპინგის მომავალს?**

- ონლაინშოპინგი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია. დარწმუნებული ვარ, ელექტრონული კომერცია დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე ავა და უფრო მეტად დაიხვეწება. მოკლედ, მომავალი ონლაინშოპინგისაა.

**- „აიქონიქის“ სამომავლო გეგმებზეც გვიამბეთ...**

- პირველ რიგში, მინდა, უფრო მეტი ადამიანი შემოვიკრიბო „აიქონიქის“ გარშემო. გარდა ამისა, ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ სოციალური პლატფორმების მეშვეობით ვოპერირებთ, მაგრამ სამომავლოდ, ვფიქრობ, შევქმნა საიტი, საიდანაც მომხმარებლები ოპერატორის ჩართულობის გარეშე, კიდევ უფრო მარტივად იშოპინგებენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეც და ჩვენს უამრავ მომხმარებელს გვსურს, გვქონდეს შოურუმი და ჩვენი ნივთები ხელმისაწვდომი იყოს ფიზიკურ სივრცეშიც, გამოწერის გარეშე. ამას ძალიან დიდი რესურსი სჭირდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია და, ალბათ, ერთ დღესაც „აიქონიქი“ გახსნის პირველ მაღაზიას რომელიმე დიდ მოლში.

> ***" ერთი კმაყოფილი მომხმარებელი უკვე ნიშნავს რამდენიმე ახალ პოტენციურ მომხმარებელს. ჩემი მთავარი ამოცანაც ის არის, მომხმარებელი ჩემი მომსახურებითა და პროდუქტით იმდენად კმაყოფილი დავტოვო, რომ მას თავად გაუჩნდეს მოტივაცია, სხვებსაც გაუზიაროს ჩვენ შესახებ***

# „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ დაიწყო

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ დაიწყო. საინფორმაციო-სასწავლო სემინარებში მონაწილეობის მისაღებად 20 700-მდე მოქალაქე დარეგისტრირდა*

მონაწილეები ცოდნას შემდეგ საკითხებზე მიიღებენ: პარლამენტის 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები, ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება, ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში და სხვა. ინიციატივა მიზნად ისახავს საარჩევნო ტექნოლოგიურ სიახლეებზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადებას.

- როგორც იცით, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება. ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით არჩევნებში მონაწილეობას ამომრჩეველთა 90% მიიღებს. საარჩევნო ადმინისტრაციამ, ტექნოლოგიების გამოყენებით, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არაერთი შუალედური თუ რიგგარეშე არჩევნები წარმატებით ჩაატარა, თუმცა, აპარატების მსგავსი მასშტაბით გამოყენება ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტოა. ესოდენ მნიშვნელოვანი პროცესისთვის აუცილებელია კვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრატორების შერჩევა, რისთვისაც ცესკომ და სწავლების ცენტრმა 2024 წლის 8 მაისიდან დაიწყო საინფორმაციო-სასწავლო პროექტ „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსების“ განხორციელება. ეს ინიციატივა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახულ რეკომენდაციებს ეხმიანება და საარჩევნო რეფორმის შესაბამისად, მიზნად ისახავს საარჩევნო ტექნოლოგიურ სიახლეებზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადებას. პროექტის განხორციელების არეალი მასშტაბურია, ტარდება ქვეყნის 64-ვე მუნიციპალიტეტში. საინფორმაციო-სასწავლო კურსში მონაწილეობის მისაღებად 20 ათას 700-მდე მოქალაქე დარეგისტრირდა. ბათუმში პროექტი ხუთ ლოკაციაზე ხორციელდება. ერთ-ერთია ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა. მონაწილეები, სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში, სწავლებას პროფილურად გადიან ერთ-ერთი შერჩეული კურსის მიხედვით - კურსი საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის ან კურსი საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური ხელმძღვანელი პირებისთვის. პროფილური მიმართულებების შესაბამისად, მონაწილეები მიიღებენ სპეციალიზებულ ცოდნას შემდეგ ძირითად საკითხებზე: საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები, ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება, ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა და საარჩევნო აპარატების გამოყენებით კენჭისყრის პროცესში შშმ ამომრჩევლების დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა. პროგრამა პრაქტიკული სწავლების კომპონენტს ეფუძნება, მონაწილეები საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის შესაბამისად აპარატების ფუნქციონალს შეისწავლიან და ამ მიზნით სატრენინგო რეჟიმში განახორციელებენ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების, კენჭისყრის წინასწარი შედეგების გადაცემისთვის განკუთვნილი პლანშეტური კომპიუტერების მართვას, - გვითხრა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად სურმანიძემ.



# შრომით, გონებით მოპოვებული აღიარება

*მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ოლადაურის ისტორიაში თავისი სახელი ჩაწერა* ***ნადია მაკარაძემ,*** *ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულმა ქალბატონმა, რომელიც ჩვენი სტუმარია.*

- უდარდელი, დალხინებული ბავშვობა არ მქონია. 3 წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა. ობლად დარჩენილებს დედა და ბებია-ბაბუა გვზრდიდნენ. დედმამიშვილებში ნაბოლარა ვიყავი, მიუხედავად ამისა, ოჯახურ ტვირთს ყველა ერთნაირად ვინაწილებდით. შრომა ჩვენს ოჯახში არავის ეთაკილებოდა, ობლებს ფიზიკური შრომით გვარჩენდნენ. ჩვენც კეთილსინდისიერი შრომით ვცდილობდით, სასურველი მიზნისთვის მიგვეღწია.

**- მიზანი რა იყო?**

- შრომითი მიღწევებით თავის წარმოჩენა. ოჯახი ოლადაურის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შევქმენი, თანასოფლელი გაიოზ მაკარაძე გახდა ჩემი ცხოვრების მეგზური. პედაგოგები მსაყვედურობდნენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე უარი ვთქვი, თუმცა... ადამიანი ყველაფერს შეძლებ, თუ ხელს გააქანებ, თვალს გაახელ, საზოგადოებაში საჭირო ადგილს აუცილებლად დაიმკვიდრებ. შენი შრომით, გონებით აღიარებას მოიპოვებ.

**- როგორ მოვიდა აღიარება?**

- თანასოფლელი შოთა მაკარაძე, შუახევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელები მურმან ჭაღალიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ალექსანდრე ჯიბლაძე, ვლადიმერ მამულაძე ახალგაზრდების ქომაგები, მათი შრომის ობიექტური შემფასებლები იყვნენ. ერთ ახალგაზრდულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვედი, რომლის დასრულების შემდეგ მათთან მიხმეს, გამოსვლა მომიწონეს. იმ დღეს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ერთი წლის შემდეგ მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის დეპუტატობის კანდიდატად დამასახელებდნენ. მას შემდეგ 40 წელზე მეტი გავიდა. ახლაც იმ შთაბეჭდილებებით ვსაზრდოობ, ვფიქრობდი, რით და როგორ გამემართლებინა ეს აღიარება. პირველ რიგში, მთავარი მაინც კეთილსინდისიერი შრომა იყო. ოლადაურელი ქალისთვის დიდ პატივად მიმაჩნდა იმ ორგანოს წევრობა, რომელიც იმ დროს მილიონობით ადამიანის ბედს წყვეტდა. ზოგიერთი მაშინაც და ახლაც ამაზე ირონიით საუბრობს, მაგრამ ასე არ იყო. მე და ჩემსავით შრომაში წარმატებული ადამიანების ხმას პატივს სცემდნენ. ამ ორგანოს წევრობა ჩემს შრომით ბიოგრაფიაში საუკეთესო პერიოდი იყო. მასწავლებლებსაც იმედი გავუმართლე, მართალია, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ვერ გავხდი, მაგრამ შრომით ფრონტზე წარმატებას მივაღწიე.



**- აჭარის მთიანეთის მკვიდრი ქალებიდან პირველი იყავით პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი...**

- ხუთი წლის განმავლობაში მრავალი ფორუმის, საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების, საოლქო და რაიონული კონფერენციების დელეგატი ვიყავი. რეგიონის, ქვეყნის მაშინდელი პირველი პირები მოკრძალებითა და პატივისცემით მეპყრობოდნენ. ხშირად მესმის, მაშინ თქვენ არავინ არაფერს გეკითხებოდათო. ნურას უკაცრავად, კიდეც გვეკითხებოდნენ და ჩვენს წინადადებებსაც ითვალისწინებდნენ. ქალური კდემამოსილება მავალდებულებდა, ზღვარს არ გადავცდენოდი, თუმცა საამისო მცდელობა არც მქონია. ახლა პარლამენტის სხდომას ეკრანზე თვალს რომ ვადევნებ, გაოცებული ვარ ზოგიერთის ქცევით. ადამიანებთან, კოლეგებთან ურთიერთობა სკოლამ, სოფელმა, საზოგადოებამ მასწავლა.

*„ქვეყნის მაშინდელი პირველი პირები მოკრძალებითა და პატივისცემით მეპყრობოდნენ. ხშირად მესმის, მაშინ თქვენ არავინ არაფერს გეკითხებოდათო. ნურას უკაცრავად, კიდეც გვეკითხებოდნენ და ჩვენს წინადადებებსაც ითვალისწინებდნენ*

**- ერთ ხანს ლაგოდეხშიც იცხოვრეთ...**

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლქვთან რამდენიმეწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. ეს ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ჩემს ცხოვრებაში. ოლადაურში მიმდინარე სტიქიურ პროცესებს ოჯახთან ერთად განვერიდე. შრომა არც იქ მაკლდა. გაიოზი, ოჯახის სხვა წევრებიც გვერდით მედგნენ. მიგდებული ნაკვეთი მოვაწესრიგეთ, სახლსა და ეზოს მივხედეთ. გარე კახეთშიც ჩვენმა ოჯახმა მრავალი მეგობარი შეიძინა. მშობლიურ ოლადაურში მეწყრული პროცესები მინელდა, ტერიტორია, საიდანაც ზვავის საფრთხე იყო, ტყემ დაფარა. ისევ ოლადაურს დავუბრუნდი. ცუდად არ მიგვდის საქმე, ორი შვილის, 4 შვილიშვილის და შვილთაშვილის მომსწრე ვარ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ობლის კვერი გამოცხვა.

# „ასაკი ჩემს შემოქმედებაზე გავლენას ჯერჯერობით ვერ ახდენს“

***ისტორიამ შემოინახა ფოტო, რომელზეც თბილისის დაარსების 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე შუახეველ ხელოვანებს წინ მოუძღვის ტანწერწეტა ჭაბუკი ოთარ დავითაძე. მას შემდეგ 65 წელი გავიდა, ოთარს კი დაბადებიდან 88 წელი უსრულდება***

- ბედნიერი ვიქნებოდი და სიცოცხლეს მეტი ხალისი ექნებოდა, ახლაც ცოცხლები რომ იყვნენ და ჩემსავით სცენაზე იდგნენ ნოდარ ფევაძე, გივი ბერიძე, არჩილ აბაშიძე, ოთარ გოგიტიძე... ისინი ჩემზე ასაკით უმცროსები იყვნენ, ასევე წუხილით ვიგონებ მათ, ვისთან ერთადაც პირველად დავდგი სცენაზე ფეხი. ჩემი ძმის ალიოსმანის, მუხამედ ართმელაძის, მამია ჭაღალიძის, ხასან შარაშიძის, ახმედ მიქელაძის, იოსებ დიასამიძის, ტარიელ კაკალაძის, კობალთელი, ნაღვარეველი და წაბლანელი მეხორუმეების სახით, საუკეთესო პარტნიორები მყავდა. ასაკმა თავი შემახსენა, მაგრამ მოცეკვავეებთან და მომღერლებთან ერთად, სცენაზე ახლაც ვდგავარ. სცენის სიყვარული სხვაგვარია, იგი ანდამატივით გიზიდავს, ველარ ელევი. დღესაც, სიმღერას ცეკვას რომ მოვაყოლებ, ისეთივე განწყობა მეუფლება, როგორც სიჭაბუკის წლებში. სცენაზე დგომა უდიდესი პასუხისმგებლობაა საკუთარი თავის და იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც შენი ხელოვნების თაყვანისმცემლები არიან. ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: რამდენიმე წლის წინ ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი იყო მიწვეული. დიდი სიამოვნებით გავემგზავრე დედაქალაქში, მინდოდა ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ახალ დირექტორ გიორგი დონაძესთან შეხვედრა. გოდერძის უღელტეხილი უკან რომ მოვიტოვეთ, ცუდად გავხდი და ადიგენის საავადმყოფოში მომათავსეს. მწარე ტკივილებზე მეტად ის მაწუხებდა, რომ იმ დღეს სცენაზე ვერ დავდექი, თუმცა ასაკი ჩემს შემოქმედებაზე გავლენას ჯერჯერობით ვერ ახდენს.

**- ცეკვა და სიმღერა ქართველი კაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...**

- არ გედავებით. ჩემი თაობის ხელოვანებმაც აქამდე მოვიტანეთ ქართული ცეკვა და სიმღერა. ბევრჯერ მიფიქრია, მივიწყების საფრთხე ხომ არ ემუქრება საუკუნეებს გამოტარებულ იმ ხელოვნებას, რომლის პროპაგანდასაც სცენიდან ვეწეოდით. მცირერიცხოვანი ერების შვილებმა, პატარა ქვეყნების მოქალაქეებმა კბილებით უნდა დავიცვათ ჩვენი სიტყვა, სიმღერა, ცეკვა, ჩვენი იდენტობა.



*„შუახევში მრავალი მივიწყებული სიმღერა მოიძიეს და სცენაზე გამოიტანეს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების „ნაის“, „მარეთის“, „ფესვების“, „შუახევის“ სამხატვრო ხელმძღვანელებმა: მარინე ფევაძემ, ავთანდილ დარჩიძემ, ქორეოგრაფმა ბადრი დარჩიძემ და ლოტბარმა ნოდარ ბერიძემ. ჩატარდა საინტერესო ღონისძიება „ტრადიციების კვალდაკვალ“, რომელმაც ნიჭიერი ხალხური მთქმელები წარმოაჩინა*

**- ეს ყველა თაობის ვალია...**

- ჩემი დაბადების თარიღი ქართული ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს უსწრებს წინ. ასაკოვანი მოვინათლე და ჯვარიც დავიწერე. უდიდეს აღმაფრენას განვიცდი, როცა ოჯახის წევრებთან ერთად დაბა შუახევის ახლად აგებულ ტაძარში მივდივარ მოსალოცად. ენა, მამული, სარწმუნოება - ეს სამი ღვთაებრივი სიწმინდე ჩემი და ჩემი ოჯახის საფიცარია. დედა, ქართველი ქალი ოჯახის სიწმინდის დამცველი უნდა იყოს მუდამ. ჩემი ორი შვილი და ამდენივე შვილიშვილი ამ პოზიციით ცხოვრობენ. მიხარია, რომ შვილიშვილებიც მეგობრობენ ხელოვნებასთან. ნახევარ საუკუნეზე მეტია, მე და ნანული კაიკაციშვილს სიყვარულსა და სიკეთეზე დაფუძნებული ოჯახი გვაქვს. მშობლების ეს დამოკიდებულება შვილებზეც გადავიდა. დავითი და რუსიკო ოჯახური ტრადიციების ერთგულები არიან. ამ თემაზე ქართველი კაცი ასე ხაზგასმით არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ რიგმა გარემოებებმა განაპირობა ეს.

**- ანსამბლ „შუახევის“ ხელმძღვანელობა და წევრები რას აკეთებთ ქართული სიმღერისა და ცეკვის დაცვა-შენარჩუნებისთვის?**

- ბოლო წლებში ამ მიმართებით სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა. ყურადღება და თანადგომა არ გვაკლია ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობისგან. შუახევში მრავალი მივიწყებული სიმღერა მოიძიეს და სცენაზე გამოიტანეს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების „ნაის“, „მარეთის“, „ფესვების“, „შუახევის“ სამხატვრო ხელმძღვანელებმა მარინე ფევაძემ, ავთანდილ დარჩიძემ, ქორეოგრაფმა ბადრი დარჩიძემ და ლოტბარმა ნოდარ ბერიძემ. ჩატარდა საინტერესო ღონისძიება „ტრადიციების კვალდაკვალ“, რომელმაც ნიჭიერი ხალხური მთქმელები წარმოაჩინა. დიდია ქალბატონ ეთერ თათარაიძის თანადგომა.

**- კიდევ რომელ ხელოვანებთან გქონდათ ურთიერთობა?**

- წლების განმავლობაში შუახევის კულტურის სახლის დირექტორად ვიმუშავე. საპასუხისმგებლო თანამდებობები მეჭირა რაიონულ სტრუქტურებში. დედაქალაქიდან მოვლინებულ ხელოვანებსა და ხელოვნებათმცოდნეებს ვმასპინძლობდით, მათ წინადადებებსა და რჩევებს ვითვალისწინებდით. არ დამავიწყდება ანზორ ერქომაიშვილის დიდი თანადგომა. იგი სოფელ-სოფელ, უბან-უბან დადიოდა და ხალხურ მარგალიტებს აგროვებდა. ახლა მის საქმეს უჩა დვალიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ნანა ვალიშვილი, გიორგი დონაძე, ნინო რაზმაძე აგრძელებენ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# გაუმარჯოს მუსიკას – მშვიდობის ენას!

*შოთა დუმბაძე ძირძველი ბათუმელი, ღირსეული, ღვაწლმოსილი, თვითმყოფადი ხელოვანი, ცნობილი როკმუსიკოსი, პოპულარულ მუსიკალურ ჯგუფ „ვერტიკალის“ დამაარსებელია, ჯგუფის, რომელიც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ტოლს არ უდებდა მსოფლიოს როკმუსიკოსებს. ბატონი შოთას მდიდარი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილება მრავალ საინტერესო ფურცელს იტევს, რასაც სულ მალე წიგნად ვიხილავთ, იქამდე კი ფეისბუქზე მისმა საინტერესო წამოწყებამ „ღირსეულ ბათუმელთა გალერეამ“ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. თანაქალაქელები სიყვარულით ეხმიანებიან... აქ ძველი და ახალი თაობის თითქმის ყველა ღირსეული ბათუმელია წარმოდგენილი, ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქალაქის აწმყოსა და მომავალთან ასოცირდებიან. დღეს შოთა დუმბაძე გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*



**- თქვენი თაობის თანაქალაქელები კარგად გიცნობენ, ახალ თაობას როგორ წარუდგენთ საკუთარ პერსონას, ვინ არის შოთა დუმბაძე?**

- შოთა დუმბაძე არის ხელოვნებაში მოსამსახურე კაცი, რომელიც ვერ იტანს ერთფეროვნებას.

**- საინტერესოდ ცხოვრობდით და ცხოვრობთ, თქვენთვის, როგორც როკმუსიკოსისთვის, რა იყო შთამაგონებელი და ძირითადი?**

- თავიდან მიცნობდნენ როგორც ხმისა და განათების რეჟისორ-პიროტექნიკოსს, მერე კი თანდათან გამოიკვეთა ჩემი გატაცება და საწადელსაც მივაღწიე, შევქმენი განათების გიტარა და კლავიში, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა მსოფლიოში და ვუკრავდი ცოცხლად... დღეს ხომ ციფრულია ეს ყველაფერი. მუსიკაში ვფლობ დიდ გამოცდილებას და კარგია, თუ ჩემი პერსონა მუსიკასთან ასოცირდება... საქართველოში „ვერტიკალის“ ბაზაზე დავაარსე პირველი ხელოვნების შპს, რომლის წევრებიც მუსიკოსები იყვნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ანსამბლი დაიშალა და შეიქმნა ახალი „ვერტიკალი“, მას პერსპექტიული მუსიკოსი მინდია ხითარიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც ამჟამად ისრაელის კომპოზიტორთა კავშირის წევრია და მოღვაწეობს ხაიფაში.

> ***„ბედნიერი მაშინ ხარ, როცა ქმნი იმას, რაც შენ გიყვარს, მე ბედნიერი ვარ, რადგან საქმეები სიყვარულით მიკეთებია და კიდევ იმიტომ, რომ დიდი ხელოვანების გვერდით მიწევდა ყოფნა...***

**- გასული საუკუნის 80-90-იან წლებში თქვენი „ვერტიკალი“ უერთებდა ხმას მსოფლიოს როკმუსიკოსებს... როგორ მოიგონებთ ამ პერიოდს?**

- „ვერტიკალი - 107“ უკრავდა ქავერებს და გვქონდა საკუთარი მუსიკა, საკუთარი ტექსტები, მაშინ სჭარბობდა ენთუზიაზმი, მუდმივ ძიებაში ვიყავით, დღეს ეს ყველაფერი ციფრულ სამყაროში გამარტივებულია, შემოქმედებითობა ნაკლებია.

**- მუსიკა სამყაროს უნივერსალური ხმა, უნივერსალური ენაა. ეს ენა ჩვეულებრივმა ადამიანმა უკეთ რომ გაითავისოს, რას ურჩევდით?**

- ყოველთვის აღვნიშნავ: ძილის წინ ადამიანმა კლასიკურ ნაწარმოებს უნდა უსმინოს, მით უმეტეს მუსიკოსმა, რათა გაისუფთაოს სმენა და მუსიკის ენა დახვეწოს.

**- ძირძველი ბათუმელი ხართ... აქ ბევრს იცნობთ, მეგობრობთ და გიყვართ, ფეისბუქზე მათი გალერეაც შექმენით, საინტერესო პიროვნებები არიან, ამ გალერეას სხვა სივრცეში, თუნდაც საგამოფენო სტენდზე ხომ არ შემოგვთავაზებთ?**

- საგამოფენო გალერეა კარგი აზრია... ვნახოთ. ჯერჯერობით სურვილი მაქვს, ბათუმელთა ეს გალერეა წიგნად გამოვცე გარკვეული ტირაჟით და საჩუქრად მივართვა ჩემს უსაყვარლეს, ღირსეულ ბათუმელებს.

**- დედათქვენი, ქალბატონო ასიე, სათნო და მშვენიერი ქალი, უყვარდათ ბათუმელებს, აფასებდნენ როგორც საუკეთესო დედას... უმთავრესი თვისება, რომელიც მისგან გადმოგეცათ...**

- დედაჩემი იყო თეატრალი, სილამაზის დამფასებელი, პოეზიის, ხელოვნების დიდი ტრფიალი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოეტებთან, მომღერლებთან, ექიმებთან, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთან. ახლა ვხვდები, რომ ამას ჩემი განვითარებისთვის აკეთებდა. მისგან სიყვარულის, სილამაზის და სიკეთის ნიჭი გამომყვა, ჩემს ყველა წარმატებას მას ვუმადლი. დიახ, დედა იყო მეგზური და გზის მანათობელი.

**- ძალიან ფართოა თქვენი სამეგობრო წრე – ხელოვანები, მეცნიერები, მწერლები... ახლა არჩევანს რამდენიმე მათგანზე თუ გააკეთებთ, წარმოგვიდგინეთ...**

- მეცნიერებიდან გურამ შარაძეს გამოვყოფ. დედაც ხომ შარაძე იყო, დიდად აფასებდნენ ერთმანეთს. ფარმაცევტ საშა თიროშვილს მეგობრად მივიჩნევდი, ექიმებიდან - ხესპი დიასამიძეს და გივი ცეცხლაძეს, მხატვრებიდან - შოთა ხოლუაშვილს და ლევან ხალვაშს, არტისტებიდან - ჩემს ძმაკაც დათო ხინიკაძეს, იუსუფ კობალაძეს, ედიშერ მაღალაშვილს, ვანო საყვარელიძეს, მზია კვირიკაშვილს, მომღერლებიდან - ბუბას, რობერტ ბარძიმაშვილს, ნუგზარ ერგემლიძეს, ზურაბ კობეშავიძეს, პოეტებიდან - გიორგი ლეონიძეს, იოსებ ნონეშვილს, გრიგოლ აბაშიძეს, ზურაბ გორგილაძეს, ვახტანგ ღლონტს, ნუგზარ ჯაფარიძეს, ზურაბ ფირცხალაიშვილს, გენრიეტა ქუთათელაძეს, დავით თედორაძეს, თორნიკე დუმბაძეს, ალექსანდრე სამსონიას, ნიაზ ზოსიძეს.

**- ამბობენ, რომ პოეზია გიყვართ და უბადლო ლიტერატურული გუმანითაც გამოირჩევით... თქვენი საყვარელი პოეტები...**

- ნოდარ დუმბაძე ყოველთვის მიმეორებდა, გალასა და ვაჟას გარდა სხვა არ იკითხო, რომ შენი ხელწერა არ შელახოო. მიყვარს აკროსტიქად წერა. ვაფასებ ზურაბ გორგილაძეს, ვახტანგ ღლონტს, თორნიკე დუმბაძეს, დავით თედორაძეს, გენერიეტა ქუთათელაძეს, ლალი ორმოცაძეს.

**- წიგნი, რომელსაც დიდ მისიას ანიჭებთ...**

- დეილ კარნეგის ყველა ნაშრომს...

**- ადამიანმა რომ თავი ბედნიერად იგრძნოს, როგორ უნდა იცხოვროს, რა უნდა გააკეთოს? თავად ბედნიერი ხართ?**

- ბედნიერი მაშინ ხარ, როცა ქმნი იმას, რაც შენ გიყვარს, მე ბედნიერი ვარ, რადგან საქმეები სიყვარულით მიკეთებია და კიდევ იმიტომ, რომ დიდი ხელოვანების გვერდით მიწევდა ყოფნა...

**- ციფრულ რეალობას როგორ ეწყობით? მუსიკა და მისი მომავალი ამ გადასახედიდან?**

- დღეს ციფრულობა მუსიკაში გარდატეხაა, მას ფეხი უნდა აუწყო...

**- ბათუმი წარსულის, აწმყოს და მომავლის თქვენეული თვალთახედვით...**

- ბათუმი ჩემს გულში ყოველთვის დედასთან ასოცირდება და მომავალ ბათუმს ვიცი, წამყვანი ადგილი ექნება მსოფლიო ქალაქებს შორის...

**- რას დაუკრავდით ახლა, რას შესთავაზებთ ჩვენს მკითხველს სულის საოხად?**

- ვთხოვდი ჩემს მინდია ხითარიშვილს, დაეკრა თავისი ნაწარმოები...

**- გასძახეთ სამყაროს თქვენი სურვილი...**

- არა ომს! გაუმარჯოს მუსიკას - მშვიდობის ენას!

# თუ მუსიკას სიყრმიდანვე შეიყვარებ...

*თამილა ბერიძე მუსიკის პედაგოგია, სტატუსით - უფროსი მასწავლებელი. ის წლებია, წარმატებით ასწავლის მუსიკას ყოროლისთავის საჯარო და კავკასიის ბიზნესის სკოლებში, დააარსა ბავშვთა ანსამბლი „ნაპერწკალი“, რომელმაც არაერთხელ გაიმარჯვა საბავშვო მუსიკალურ ფესტივალებში. ახლა ანსამბლი საიუბილეო კონცერტისთვის ემზადება. როგორც ბავშვები, ასევე მათი მშობლები ემადლიერებიან ქალბატონ თამილას, რომელიც გულმოდგინედ მეგზურობს ახალგაზრდებს მუსიკის ანდამატურ სამყაროში. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*



**- როგორ აირჩიეთ პროფესია, რამ გადაგაწყვეტინათ, მუსიკა შეგესწავლათ?**

- პროფესია, სიმართლე გითხრათ, ჩემი ინიციატივით არ ამირჩევია, დიდი როლი ჩემს ძმას მიუძღვის, რომელიც დღემდე აქტიურად მიდგას გვერდით. არჩევანით ძალიან კმაყოფილი ვარ, მე ხომ მომავალ თაობას ვემსახურები. მუსიკის გაკვეთილებს რომ ვატარებ და ბავშვებს ვუსმენ, გული სიხარულით მევსება, თაობა მოდის, რომელიც სამყაროს ყველაზე უნიკალურ ენას - მუსიკას მთელი არსებით ეწაფება და ითავისებს.

**- როგორია თქვენი მიღწევები მუსიკის სფეროში, სკოლა, სადაც მუსიკას ასწავლით, რით გამოირჩევა, როგორ დააინტერესეთ ახალგაზრდები?**

- ვარ ორ სკოლაში მოსამსახურე პედაგოგი - ყოროლისთავის საჯარო და კავკასიის ბიზნესის სკოლებში, სტატუსით - უფროსი მუსიკის მასწავლებელი. ახალგაზრდებს მუსიკა

> ***„თანამედროვე, ჰარმონიული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა კარგი მუსიკაცაა, რომელსაც სიყრმიდანვე უნდა ეწაფებოდეს ახალგაზრდა. კაცობრიობის მუსიკალური საგანძური იმდენად უსაზღვროა, რომ თუ მას სიყრმიდანვე არ დაეწაფე, სრულად ვერ შეიმეცნებ, მასწავლებელი კი ის ერთგული მეგზურია, რომელსაც გულდაგულ გადაჰყავს აღსაზრდელები ხელოვნების ამ ხიდზე***

უყვართ და ეს მათთან ურთიერთობას მიადვილებს. გაკვეთილი საინტერესოდ რომ წარიმართოს, ვცდილობ, მათი ასაკის შესაფერისი საინტერესო თემით დავიწყო საუბარი. მოსწავლეებს ინტერესი რომ არ გაუნელდეთ, უშუალოდ ვრთავ მათ სასწავლო პროცესში, ასე უმჯობესდება აღქმა, განცდა იმისა, რომ მუსიკა სამყაროს ენაა. ამის განცდა მუსიკის საშუალებით საინტერესოცაა და სასურველიც, ხელს უწყობს მათი ესთეტიკური გემოვნების განვითარებას.

**- თქვენი დაკვირვებით, მუსიკა როგორ მოქმედებს ახალგაზრდების განწყობაზე, რისი სწავლებაა მათთვის აუცილებელი, რომ მუსიკის ჰარმონია შეიგრძნონ?**

- მუსიკას რომ ძალიან დიდი როლი აქვს აღზრდაში, ეს საკამათოდ არ მიმაჩნია. თანამედროვე, ჰარმონიული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა კარგი მუსიკაცაა, რომელსაც სიყრმიდანვე უნდა ეწაფებოდეს ახალგაზრდა. კაცობრიობის მუსიკალური საგანძური იმდენად უსაზღვროა, რომ თუ მას სიყრმიდანვე არ დაეწაფე, სრულად ვერ შეიმეცნებ, მასწავლებელი კი ის ერთგული მეგზურია, რომელსაც გულდაგულ გადაჰყავს აღსაზრდელები ხელოვნების ამ ხიდზე. გზის დასაწყისში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, არჩევანს რა ჟანრის მუსიკაზე გააკეთებ, რა დოზითა და ფორმით მიაწვდი ისე, რომ ინტერესი და სიყვარული გაუღვივდეს, გემოვნება დაეხვეწოს, სული მუსიკით აევსოს, გამდიდრდეს. მუსიკის საგნის სწავლების დანიშნულებაც სწორედ ეს არის - ჩამოვუყალიბოთ ახალგაზრდას კარგი მუსიკალური გემოვნება, მუსიკის მოსმენის კულტურა, მუსიკით ტკბობის უნარი, საბოლოო შედეგი კი არის ბედნიერი ადამიანი, რომელსაც ახალისებს და ძალას მატებს მუსიკა, გადაჰყავს იგი ნანატრ სამყაროში.

**- როგორც ვიცით, თქვენ მიერ დაარსებული ანსაბლი „ნაპერწკალი“ არაერთ ფესტივალში მონაწილეობს... ვინ არიან მისი წევრები და რა მიღწევები გაქვთ?**

- ანსამბლმა „ნაპერწკალმა“ არაერთ წარმატებას მიაღწია: საბავშვო მუსიკალურ ფესტივალებზე პირველი ადგილი, ლაურეატის წოდება, გრან პრი, სანიმუშო ბავშვთა ჯგუფის წოდება. ანსამბლში გაერთიანებული არიან ჩვენი სკოლების მოსწავლეები - 300 ბავშვი. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ბავშვები მომავალში, სწორედ, მუსიკის ზემოქმედების წყალობით შემდგარ პიროვნებებად მოგვევლინებიან.

**- სანიმუშო ბავშვთა ანსამბლის წოდება აღიარებაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. ამჟამად როგორი რეპერტუარით წარუდგებით საზოგადოებას?**

- გეთანხმებით, საპასუხისმგებლო წოდებაა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. წელს ანსამბლს საიუბილეო თარიღი აქვს, რეპერტუარიც უფრო ფართოა: „განდაგანა“, „მთიულური“, „ხევსურული“, „ქართული“, „ფარცა“, „ფერხული“, „ხორუმი“ და „ნარნარი“.

**- ახლა რომ არჩევანის წინაშე იდგეთ, რა გზას დაადგებოდით?**

- ისევ იმ გზას ავირჩევდი, რა გზაზეც ვდგავარ.

**- რა ჟანრის მუსიკას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ქართული ფოლკლორი სულს მივსებს, ხალხური მუსიკა დაუშრეტელი საგანძურია, სულის ელექსირი...

**- უცხოპლანეტელს რომ შეხვდეთ, რომელი ქართული სიმღერის მოსმენას ურჩევდით და რატომ?**

- „იავნანას“! ეს მხოლოდ დედის სიმღერა როდია, იგი სიმღერაზე აღმატებულია, იქნებ უნიკალური კოდიც და ჰანგი, რომელიც სამყაროს ეფინება, თავისი სიდიადით და სილამაზით ცისარტყელას ემსგავსება, ჩვენს სულებს სიყვარულითა და მშვენიერებით ავსებს. ჩინებულია, თუ დღე იწყება და მთავრდება მუსიკით, აივსეთ სული მისი სიტკბოთი და მშვენიერებით.

**გვერდი მოამზადა ლაშა ხომერიკმა**

# საფრანგეთის სამგზის ვიცე-ჩემპიონი მოცეკვავე - ბათუმიდან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*დღეს გაგაცნობთ ახალგაზრდა, ნიჭიერ, წარმატებულ გოგონას, ლათინოამერიკული და სპორტული ცეკვების შემსრულებელ* ***მარია გოგიტიძეს.*** *ცეკვა ბათუმში სამწლინახევრისამ დაიწყო, 2019 წელს ოჯახთან ერთად საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად და მას შემდეგ საფრანგეთის სამგზის ვიცე-ჩემპიონი, ილდეფრანსის რეგიონის სამგზის ჩემპიონი, ასევე, სხვა მრავალი, შიდა თუ საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე და გამარჯვებულია. ის საკუთარ წარმატებებზე, სირთულეებსა და საფრანგეთის ყოველდღიურობაზე გვესაუბრება.*





**- მარია, როგორ აღმოაჩინეთ, რომ ცეკვის ნიჭი გქონდათ?**

- ძალიან პატარა ვიყავი - სამწლინახევრის, როცა ცეკვაზე შეყვანა მომითხოვია. მშობლებს ქართული ცეკვა შემოუთავაზებიათ, მე კი კატეგორიულად გამიპროტესტებია და ზუსტად ლათინოამერიკული ცეკვების სტილი ამიწერია. არ ვიცი, საიდან და რატომ - ალბათ ვგრძნობდი, რომ ზუსტად ეს ცეკვები იყო ჩემს ხასიათში. დედას არც კი სცოდნია, ჩვენს ქალაქში ასეთი ცეკვების კლუბი თუ არსებობდა, რადგან მაშინ არ იყო ამდენად პოპულარული ცეკვის ეს სახეობა. მალევე, ბიძაჩემის დახმარებით, მშობლებმა ბათუმში, სტუდია „ლას-ვეგასში" მიმიყვანეს, სადაც ბავშვებს 4 წლიდან ასწავლიდნენ ამ ცეკვებს. მშობლებს ჩემი ასაკი დაუმალავთ, გარეთ რომ არ დავრჩენილიყავი. დაბადების დღემდე საიდუმლოდ ვინახავდი ამ ამბავს, მეშინოდა, ასაკის გამო არ დავეწუნე. ოთხის რომ გავხდი და ასაკი გამოვაცხადე, ჩემი მასწავლებლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ამბავს ყოველთვის კურიოზად ვიხსენებდით. ცეკვის ნიჭი სწორედ ჩემმა პირველმა მასწავლებელმა - მონიკა არჩაიამ აღმოაჩინა ჩემში და „გამოძერწა" პატარა ჩემპიონი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.

**- რატომ სპორტული ცეკვები და არა - სხვა?**



- ამ კითხვას საკუთარ თავსაც ხშირად ვუსვამდი, მინდოდა, პასუხი მეპოვნა, მაგრამ... ალბათ, უბრალოდ, მსიამოვნებდა, მაშინაც და ახლაც. უკვე თითქმის 12 წელია, ვცეკვავ, რაც ჩემთვის სუნთქვაა! ამ ესთეტიკურ სიამოვნებას დაემატა ჩემსა და ჩემს ძმას - ილიას შორის ოჯახური შეჯიბრი - ვინ უფრო მეტ თასსა და მედალს მოაგროვებს.

**- თქვენი ძმა საკმაოდ წარმატებული მოციგურავეა, ალბათ, დედ-მამა ორივეს განსაკუთრებულად გგულშემატკივრობენ...**

- ნამდვილად, ილია საკმაოდ წარმატებული მოციგურავეა. მე და ჩემი ოჯახი ძალიან ვამაყობთ მისით. მინდა აღვნიშნო, რომ არა ჩვენი მშობლების თანადგომა და განსაკუთრებული დამოკიდებულება, ამდენ წარმატებას ვერ მივაღწევდით. გადმოსაცემად რთულია, რისი გაკეთება უწევთ ჩვენი შედეგებისთვის. ყურადღებას აქამდე ორზე თანაბრად რომ ანაწილებდნენ, ახლა უკვე სამზე ნაწილდება - ჩვენი პატარა ძმა კალათბურთზე დადის და ჩემპიონობისთვის გულმოდგინედ ემზადება. მოკლედ ვიტყვი, რომ გმირი მშობლები გვყავს!

**- საკმაოდ ბევრი კონკურსის მონაწილე და ჩემპიონი ხართ...**

- მიყვარს კონკურსები და ჩემპიონატები. სიამოვნებას მანიჭებს მომზადების პროცესი და ამ დროს კოლეჯში გაცდენილი საათებიც საპატიოდ მეთვლება (იცინის). ყოველი ჩემპიონატი ახალი გამოწვევებით არის სავსე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ვცხოვრობ. თითქმის ყოველთვიურად ტარდება რაღაც კონკურსი - სარეიტინგო, რეგიონალური თუ საერთაშორისო. საფრანგეთის სახელით, მთელ ევროპაში საერთაშორისო შეჯიბრებებში ხშირად ვმონაწილეობ. ვარ საფრანგეთის სამგზის ვიცე-ჩემპიონი წყვილებში, ილდეფრანსის რეგიონის სამგზის ჩემპიონი წყვილებში და ჩემპიონი სოლო კატეგორიაში, ასევე, სხვა მრავალი, შიდა თუ საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე და გამარჯვებული.

**- საფრანგეთზე მოგვიყევით - როგორ შეეგუეთ ახალ გარემოს და სად სწავლობთ ამჟამად?**

> ***„მენატრებოდა ჩემი სახლი, ოჯახის წევრები, სკოლა, მეგობრები და ჩემი მონიკა მასწავლებელი. ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე, შევხვდი კარგ მწვრთნელს - სებასტიან ლაბელჟელს, რომელმაც ცეკვაში პროფესიონალური განვითარების გარდა, ჩემი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც შესანიშნავად იზრუნა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. ახლა პარიზში პიელ ღონსაღდის სახელობის კოლეჯში ვსწავლობ***

- საფრანგეთში საცხოვრებლად 2019 წელს გადმოვედით. სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან გამიჭირდა, საფრანგეთი მხოლოდ ერთი კვირით მინდოდა (იცინის). იმდენად გამიჭირდა, რომ სტრესის შედეგად ჯანმრთელობის პრობლემაც შემექმნა. მენატრებოდა ჩემი სახლი, ოჯახის წევრები, სკოლა, მეგობრები და ჩემი მონიკა მასწავლებელი. ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე, შევხვდი კარგ მწვრთნელს - სებასტიან ლაბელჟელს, რომელმაც ცეკვაში პროფესიონალური განვითარების გარდა, ჩემი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც შესანიშნავად იზრუნა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. ახლა პარიზში პიელ ღონსაღდის სახელობის კოლეჯში ვსწავლობ.

**- ენის ბარიერი როგორ დაძლიეთ?**

- საკმაოდ მარტივად, ისე შევისწავლე, სწავლის პროცესი და სირთულე არც კი მახსოვს. ალბათ იმიტომ, რომ ფრანგებთან გვქონდა ყოველდღიური ურთიერთობა და ისინი ძალიან დაგვეხმარნენ.

**- კულტურებს შორის რა მსგავსებას და სხვაობას პოულობთ?**

- ჩემი შეხედულებით, საქართველოში უფრო თბილი ხალხი ცხოვრობს, უფრო მეგობრულები, ვიდრე აქ - საფრანგეთში. პირველი, რაც უცნაურად მეჩვენა და ძალიან არ მომეწონა, ისაა, რომ სკოლაში ყოველ წელიწადს პარალელური კლასის მოსწავლეებს ერთმანეთში ანაცვლებენ და ბავშვები დამეგობრებას ვერ ასწრებენ. შესაბამისად, ცხოვრების განმავლობაში სულ რამდენიმე მეგობარი ჰყავთ. ძალიან მომწონს, რომ აქ უფროსები ბავშვებს თანატოლებად მიიჩნევენ, მათ აზრს, გადაწყვეტილებას პატივს სცემენ და ითვალისწინებენ. მომწონს აქაური სასწავლო პროცესი. მაღალ კლასებში თითქმის ყველაფერს პრაქტიკული გაკვეთილებით ვსწავლობთ. დაწყებით კლასებში არ არის ისეთი დატვირთვა, როგორიც საქართველოში. საჭმელთან დაკავშირებითაც დიდი სხვაობაა - უფრო ტკბილი კერძები უყვართ. ჩემს მწვრთნელს დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპური უყვარს ძალიან, ჩემი ძმის მწვრთნელს კი ქართული ღვინო. ჩვენი გაცნობის შემდეგ ფრანგი მეგობრები ქართულ რესტორნებსაც ხშირად სტუმრობენ.

**- რას მიიჩნევთ ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად?**

- ყველა შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია, შედეგის მიუხედავად, წარმატებად მივიჩნევ, რადგან ვიღებ ნებისმიერი სპორტსმენისთვის უმთავრესს - გამოცდილებას. საფრანგეთის შარშანდელ ეროვნულ ჩემპიონატს გამოვარჩევდი, რომელზეც მსოფლიო ჩემპიონატისთვის კვალიფიკაციის გავლა შევძელი.

**- როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

- დილის 6 საათზე ვიღვიძებ და კოლეჯში ჩემს პატარა ძმა ჯეკოსთან ერთად მივდივარ. საკმაოდ დიდი გზის გავლა გვიწევს, ბევრ ტრანსპორტს ვიცვლით. შემდეგ მე ცეკვაზე მივდივარ, ჯეკო სკოლიდან კალათბურთზე მიდის, სამწუხაროდ, ვარჯიშს ერთდროულად ვერ ვასრულებთ, ამიტომ მას სახლში მარტო უწევს წასვლა. მე გვიან ვბრუნდები, გაკვეთილებს ვამზადებ და შემდეგი დღისთვის ვემზადები.

**- თავისუფალ დროს რითი ერთობით?**

- თავისუფალი დრო, სამწუხაროდ, ცოტა მაქვს, მაგრამ როცა მაქვს, ჩემს ოჯახსა და რუმინელ მეგობარ დენიზასთან ერთად ვატარებ. მეგობრები, ძირითადად, ჩემს სფეროში მყავს, ჩემს კლუბში, ასევე, მთელი საფრანგეთის რეგიონებში. ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მიყვარს შეჯიბრებები, იქ ვხვდები ჩემს მეგობრებს და ვურთიერთობ მათთან.

**- ცეკვა რომ არა, რა პროფესიას აირჩევდით?**

- ცეკვის პარალელურად დავდიოდი ფიგურულ სრიალზე, ტანვარჯიშზე, ფორტეპიანოზე, ჭადრაკზე, ვმღეროდი გუნდში და ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, ალბათ რომელიმეს ავირჩევდი, თუმცა მიყვარდა და მინდოდა ცეკვა. სამომავლოდ, ცეკვის პარალელურად, თეატრალურზე სწავლის გაგრძელებას ვაპირებ.

**- როგორც ვიცი, ადრე წყვილში ცეკვავდით და თქვენმა მეწყვილემ ცეკვას თავი დაანება. რა გამოწვევის წინაშე დადექით, რამდენად რთული აღმოჩნდა სოლო მოცეკვავედ გადასვლა?**

- კი, წყვილში ვცეკვავდი, ეს ცეკვები სწორედ წყვილებისთვისაა შექმნილი. წყვილში სულ სხვა ემოციის გადმოცემა შეიძლება და სხვანაირი ესთეტიკური სილამაზე აქვს. ჩემმა მეწყვილემ, მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია რომ გავიარეთ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა და მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გავსულიყავით, სწორედ მაშინ, ორი თვით ადრე, დაანება ცეკვას თავი. ვერ გადმოგცემთ, ეს რამდენად დიდი დარტყმა იყო ჩემთვის, რადგან აქამდე რომ მოვსულიყავი, ძალიან ბევრი სირთულე გამოვიარე. პარტნიორის გარეშე დარჩენილმა, აქტიურობა რომ შემენარჩუნებინა, სოლო კარიერა გავაგრძელე. პარალელურად, მეწყვილის ძიებაში ვარ. ახლაც არის გარკვეული სირთულეები - წელს საფრანგეთში პირველად ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი ლათინოამერიკული ცეკვების სოლო კატეგორიაში, თუმცა ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად აუცილებელი პირობა საფრანგეთის მოქალაქეობა იყო. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ ვარ საფრანგეთის მოქალაქე და წინასწარ ვიცოდი, რომ ამ ტიტულისთვის ვერ ვიბრძოლებდი. მიუხედავად ამისა, მაინც მივიღე მონაწილეობა და მესამე ადგილს, ბრინჯაოს მედალს დავჯერდი.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- ზაფხულში გერმანიის ქალაქ ვუპერტალში საერთაშორისო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიღებას ვგეგმავთ და ამით ვამთავრებ სეზონს, იქიდან კი საზაფხულო შეკრებაზე ქალაქ ვიშიში ვხსნით ახალ სეზონს.

# „ჩემი მიზანი მივიწყებული ისტორიული ფაქტების გაცოცხლებაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*20 მაისი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ემერიტუს პროფესორის, 30-მდე წიგნის ავტორის, მრავალი წიგნის რედაქტორ სერგო დუმბაძის დაბადების დღეა - იგი 90 წლის გახდა*



*მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მუშაობა წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. იყო აჭარის მთიანეთის სოფლის სკოლის მასწავლებელი, ბათუმის შოთა რუსთაველის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტი, დეკანი, კათედრის გამგე. ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგაც, წლების განმავლობაში ლექტორად იმუშავა. მისი ხელდასმით მრავალი ახალგაზრდა სასურველ პროფესიას ეზიარა. ბატონ სერგოსა და მის აღზრდილებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევაში, ქვეყნისა და რეგიონის ღირსეული პიროვნებების ღვაწლის წარმოჩენაში.*

- იმ სოფლის მკვიდრი ვარ, რომლის ისტორია უშუალოდ უკავშირდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორი ღირსეული შვილის - აბუსერისძე ტბელისა და სელიმ ხიმშიაშვილის სახელებს. ბაკო ხიხანის ციხესთანაა. ბავშვობიდანვე ვიყავი დაინტერესებული, საფუძვლიანად შემესწავლა ხიხანის ციხის ისტორია და მისი მეციხოვნეების დამსახურება სამშობლოს წინაშე, რაშიც დიდი დახმარება გამიწიეს მასწავლებლებმა. ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ მოვლინებულნი, მაგრამ თავს არ ზოგავდნენ, რომ აჭარის ისტორია მოსწავლეებისთვის კარგად გაეცნოთ. მაშინ ძალიან მწირი მასალები მოიპოვებოდა თუნდაც ხიხანის ციხის ისტორიაზე. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ დღეს მრავალი წიგნია გამოცემული სხალთა-ხიხანის ისტორიასა და აქ მოღვაწე პიროვნებების შესახებ, რომელთა ჩამონათვალში ჩემი წიგნებიცაა.

**- თქვენი პირველი წიგნი?**

- პირველი წიგნის გამოცემა დაუვიწყარ მოგონებად მრჩება. იგი 2700 ეგზემპლარით დაიბეჭდა. ერთი ცალის ღირებულება მოკრძალებული იყო - 15 კაპიკი. მაშინ ყველა ბეჭდვითი პროდუქცია ხელისუფლების მხრიდან მკაცრ ცენზურას გადიოდა, მით უმეტეს, რომ წიგნი აჭარის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას ეხებოდა მეორე მსოფლიო ომის წლებში. 1980 წლის ბოლოს საკანდიდატო დისერტაცია ამ წიგნის საფუძველზე დავიცავი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო, დისერტაციის წიგნად დაბეჭდვა დროებით შეჩერდა. დავიწყე ისევ არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობა თემაზე: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დიდი სამამულო ომის პერიოდში“. ამასობაში მოვიდა 1989 წლის 9 აპრილი, შემდგომ განვითარებული მოვლენები... ზოგიერთებმა უაზროდ მიიჩნიეს მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობა, 9 მაისი - გამარჯვების დღეც გააუქმეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის, ცალკეული მეცნიერების ჩარევით დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანე. ჩემი სამეცნიერო ნაშრომი უცვლელადაა შეტანილი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის (აჭარა)“ ოთხტომეულში. რომ არა პრინციპულობა, ეს თემა ასე სრულყოფილად ვერ წარმოჩნდებოდა.

**- სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, ავტორი ხართ წიგნებისა, რომლებითაც ღირსეული ადამიანები წარმოაჩინეთ.**

- ეს იმ დროს მოვლინებული ისტორიის მასწავლებლის, თხილვანის 8-წლიანი სკოლის დირექტორ თინა კეკუღაძის დამსახურებაა. ცხოვრების დიდ გზაზე მრავალ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ ისეთი თვისებებით შემკული ადამიანი, როგორიც თინა მასწავლებელი იყო, არ მახსოვს. მისგან მოვისმინე პირველად ხიხანის ციხის დამცველების გმირობის შესახებ. მაშინ სელიმი მერქვა, სეხნიის გმირობის ამბავი მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა. მასწავლებლისადმი კეთილმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რომ მომავლის პროფესიად პედაგოგობა, ხოლო სპეციალობად ისტორიკოსობა ავირჩიე. ღირსეულ პიროვნებებზე (სელიმ, შერიფ, თეხსიმ ხიმშიაშვილები, დავით მამულაძე, ზექერია ლორთქიფანიძე, ლევან დავითაძე, მეჯიდ გაბაიძე, სერგო ჯაიანი, ესმა დავითაძე, სტეფანე ქემხაძე და სხვები) წიგნების გამოცემასთან ერთად, ვითავე, რომ დაწესებულიყო სახალხო დღესასწაული „სელიმობა“, მთისუბნის, ბაკოს, ხიხაძირის, კვატიის სკოლებს მინიჭებოდა შერიფ, სელიმ ხიმშიაშვილების, სერგო ჯაიანის, დიმიტრი ხოზრევანიძის სახელები.

**- პუბლიცისტ შალვა აბაშიძესთან ერთად, საზოგადოებას გააცანით მეფის რუსეთის დროინდელი მოხელის სტეფანე ქემხაძის საგმირო საქმე...**

- ამ პიროვნებამ ათობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, რომლებიც ახლანდელ ხიჭაურის ტერიტორიაზე ჩამოსახრჩობად ჰყავდათ მიყვანილი. ორი კიდეც ჩამოახრჩვეს - ახალდაბელი თავდგირიძე და ჩანჩხალოელი შახვლედ დიასამიძე. მე და ბატონმა შალვამ კომპეტენტურ ორგანოებს წერილით მივმართეთ, რომ სტეფანესაც დაფასებოდა ამაგი, რაც, იმედია, დადებითად გადაწყდება. პირველი სიტყვა შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ეკუთვნის.

**- სხალთა-ხიხანის ხეობაში მრავალი ისტორიული ძეგლისა და საკულტო ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. მათ რესტავრაცია-კონსერვაციაზე რას იტყვით?**

- ხიხანის ციხე მრავალჯერ ვახსენე, მაგრამ არაფერი მითქვამს იმ დიდ სამუშაოებზე, რაც ამ ისტორიულ ძეგლზე რესტავრაცია-ონსერვაციის მიმართულებით შესრულდა. გაკეთდა ახალი გზა-ბილიკი, სახე იცვალა სხალთის ტაძარმა. ფასდაუდებელია სხალთის ტაძრისადმი, კალოთის, ვერნების, თიკანაურის, თხილვანის ეკლესიების ნაშთებისადმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის მამულიშვილური დამოკიდებულება. უკვე მიმდინარეობს კალოთის ეკლესიის რესტავრაცია. მათი ლოცვა-კურთხევითა და უფლის ნებით, მალე ვერნებშიც ანალოგიური სამუშაოები დაიწყება. აქვე მინდა გითხრათ, რომ უნდა მოწესრიგდეს საავტომობილო გზები მთა ჩირუხიდან ბეშუმამდე. დროა, ვიზრუნოთ ბაკოსა და მთისუბნის დამაკავშირებელი გზისა და ხიდის მშენებლობაზე. აჭარა ის კუთხეა, სადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი და საინტერესო ისტორიაა დამარხული. ეს ისტორიული ადგილები მომავალში მრავალ ტურისტს მოიზიდავს, რაც სასიკეთოდ წაადგება ქვეყნისა და ადგილობრივების ეკონომიკას.

**- ისევ გრძელდება დისკუსია, თუ რომელია სწორი ფორმა: „აბუსერისძე ტბელი“ თუ „ტბელ აბუსერისძე“?**

- ამ კუთხით საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი დღემდე იცავს ავტორის მიერ დარქმეულსა და თავის წიგნში დაწერილ ვერსიას „აბუსერისძე ტბელი“, რაც ბუნებრივია. ამ იდეას იცავდა და იცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მისი ინსტიტუტები. მკვლევართა ერთი ნაწილი თავის მოსაზრებას გვთავაზობს: „ტბელ აბუსერისძე“. მე ვაღიარებ და ვწერ პირველ ვარიანტს: „აბუსერისძე ტბელი“.

**- რამდენად გიწევენ თანადგომას მეცნიერები, ხელისუფლების სტრუქტურებში დასაქმებულები?**

- 90 წლის განმავლობაში პირადული არაფერი მიკეთებია. ჩემი მიზანია, მივიწყებული ისტორიული ფაქტების, თუნდაც ცალკეული პიროვნებების საქმიანობის მოძიება, სამზეოზე გამოტანა. ვემადლიერები მთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების, ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელებს, თუნდაც ცალკეულ პიროვნებებს თანადგომისთვის. ისინი მატერიალურად მეხმარებიან წიგნების გამოცემაში. საიუბილეო მოლოცვებიც სტიმულს მმატებს. ყველას მადლობას ვუხდი. ასევე, მადლობა გაზეთ „აჭარის“ რედაქციას. მიგულეთ თქვენს მხარდამჭერად და ერთგულ მკითხველად.

*სპორტი*

# გიორგი ჩხიკვაძე ოქროს მედლის მფლობელია



ბაქოში მიმდინარე 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გიორგი ჩხიკვაძემ (72 კგ წონითი კატეგორია) ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა თურქი, უნგრელი, ბულგარელი და აზერბაიჯანელი მეტოქეების დამარცხების შემდეგ, ფინალში ლიეტუველ სავიცკასს სძლია და საქართველოს ნაკრებს ტურნირზე მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს მედალს დიეგო ჩხიკვაძე (67 კგ) დაეუფლა, რომელმაც ბულგარელი მეტოქე 9:1 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ბაქოს შეჯიბრებაზე საქართველოს 23-წლამდელთა ნაკრების წევრებმა სამი დღის წინ სამი მედალი უკვე მოიპოვეს. გიორგი თოხაძე (55 კგ) ოქროს მედლის მფლობელი გახდა, აჩიკო ბოლქვაძე (87 კგ) - ვერცხლის, გიორგი ცოფურაშვილი (130 კგ) კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

*ხსოვნა*

# ავთანდილ ჯორბენაძე



გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ ჯორბენაძე.

მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე (ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი) ყოფნის დროს, მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოში ახალი ფორმაციის შესატყვისი რეფორმების გატარება ჯანდაცვის, ეკონომიკის, სამართლისა და სხვა სფეროებში.

თანაგრძნობას ვუცხადებთ ბატონი ავთანდილის ოჯახს, ექიმთა ასოციაციას, გულნარა ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის კოლექტივსა და სრულიად საქართველოს.

პიროვნული ხიბლით გამორჩეული ავთანდილ ჯორბენაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობართა და ახლობელთა გულებში.

**აკაკი ბერიძე,**
**აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი**

აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

**შამილ აბაშიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დამფუძნებელი, აკადემიკოსი

**გულნარა ჩაფიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/05/24, 17 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# დახუჭული თვალებით დანახული მზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმის დრამატულ თეატრში სპექტაკლ „მე ვხედავ მზის“ პრემიერა გაიმართა. რეჟისორმა პეტრე ჩარგეიშვილმა ნოდარ დუმბაძის უკვდავი ნაწარმოები სცენაზე გააცოცხლა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ის ძირითადი სათქმელი, რაც ლაიტმოტივად გასდევს მწერლის შემოქმედებას. პირველ რიგში, უპირობო სიყვარული, რომელიც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავარ გმირებს - ხატიასა და სოსოს აკავშირებს ერთმანეთთან*



სპექტაკლში, ასევე, საუბარია ომის სიმძიმესა და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ის სოციუმის ფსიქოლოგიაზე, ყოველდღიურ ყოფაზე. სპექტაკლის დასრულების შემდეგ რეჟისორმა ჩვენს გაზეთს ემოციები გაუზიარა და ერთგვარი მესიჯი გაუგზავნა საზოგადოებას. პეტრე ჩარგეიშვილის თქმით, თუ გვინდა მშვიდობა, „მტერსაც უნდა ვესაუბროთ“.

- პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმის დრამატულ თეატრს, სამხატვრო ხელმძღვანელ ალექსანდრე ქანთარიას, სპექტაკლში მონაწილე თითოეულ მსახიობს და, ზოგადად, თეატრის სრულ შემადგენლობას. სპექტაკლის დასრულების შემდეგ, მაქვს ბედნიერების, კმაყოფილების, ერთიანობის და მადლიერების განცდა. ვფიქრობ, რისი თქმაც მინდოდა, ვთქვი და მაყურებელმა ეს კარგად გაიგო, იგრძნო. უბრალოდ, გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში თუ ზოგადად - მსოფლიოში, ხშირად სოციუმზეა დამოკიდებული. ერთიანობის ფასი არაფერია, თუმცა, ისიც უბედურებაა, თუ სოციუმი ერთ ჭკუაზე დგას. მას უნდა ჰქონდეს განსხვავებული აზრი, მაგრამ უნდა შეეძლოს ერთ აზრზე შეჯერება. მაგალითად, სპექტაკლში დათიკო არ არის მკვლელი, ის მსხვერპლია, რომელიც შექმნა თავად გარემომ. მიმაჩნია, რომ არ შეიძლება კაცის ასეთი მოკვეთა, უარყოფა, სიძულვილი, თუ არ მოუსმინე, რაზე საუბრობს, რას გიხსნის. თუ ერთად არ დავსხედით, დავილაპარაკეთ, პრობლემა არ განვიხილეთ, ვიღაცაზე ხელის შეწმენდით ვერ მოვაგვარებთ მას. მტერსაც უნდა ვესაუბროთ. თუ ცივ გონებაზე მივიღებთ გადაწყვეტილებებს, შეიძლება მივიდეთ კონსენსუსამდე, მაგრამ თუ ცხელი გონებით რაღაცას გადავწყვეტთ, შეიძლება დანაშაულზე დიდი დანაშაული ჩავიდინოთ. არ გვინდა ომი, გვინდა მშვიდობა და ერთმანეთთან საუბრით შეთანხმების მიღწევა. რაც შეეხება კიდევ ერთ და უმნიშვნელოვანეს თემას, რომელზეც სპექტაკლი მოგვითხრობს, სოსოს და ხატიას უპირობო სიყვარულია. კაცს უყვარს უსინათლო ქალი და ჰპირდება ცხოვრების ბოლომდე ერთგულებას. თუ გიყვარს, ისეთი გულწრფელობით უნდა გიყვარდეს, როგორც ნაწარმოების „მე ვხედავ მზეს“ მთავარ პერსონაჟებს, - გვითხრა პეტრე ჩარგეიშვილმა.

სპექტაკლში ხატიას როლს მსახიობი ხატია ფოფხაძე ასრულებს. მან შეძლო ბოლომდე გადმოეცა იმ სამყაროს ფერადოვნება, სისუფთავე, რომელსაც მისი პერსონაჟი დახუჭული თვალების მიღმა ხედავდა.

- ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო ბატონ პეტრესთან მუშაობა, როლზე მუშაობა კი, როგორც საოცრად კარგი და სასიამოვნო, ასევე, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო. ვფიქრობ, სპექტაკლის პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, მაყურებლისგან მხურვალე აპლოდისმენტები დავიმსახურეთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდოა მსახიობისთვის, - აღნიშნა ხატია ფოფხაძემ.

სპექტაკლში ბეჟანას სახასიათო და დასამახსოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა მამუკა მანჯგალაძემ. ბეჟანა ის ადამიანი იყო, რომლის ნათქვამსაც თითქოს დიდ მნიშვნელობას არავინ ანიჭებდა სოფელში, მაგრამ ყველას უყვარდა გულწრფელობის და სიყვარულის დიდი უნარის გამო.

- როგორც ჩემი პერსონაჟის, ასევე, ჩემი მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი არის შემდეგი - ხალხო, გვიყვარდეს ერთმანეთი. სიყვარულით ყველა დაბრკოლებას დავძლევთ და გადავრჩებით. არაერთი საინტერესო ფრაზის ავტორია ბეჟანა, თუმცა ალბათ დიდხანს გამყვება სიტყვები: „სოსოია, მე გადარეული კი ვარ, მაგრამ სულელი კი არ ვარ?!“. მინდა, თითოეულ ადამიანს, ვინც სპექტაკლზე იმუშავა, მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო მომავალშიც, - გვითხრა მამუკა მანჯგალაძემ.

# თითოეულ გამოფენაზე ამაყად აფრიალებს ქართულ დროშას

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*დღეს გაგაცნობთ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარ* ***მარიამ სიმაშვილს.*** *მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა და 28 წლისა უკვე „ავერსის“ კლინიკის უმცროსი ექიმი-რეზიდენტია პედიატრიაში. როგორც გვითხრა, ბავშვობიდან ხატავს, თუმცა აქტიურად - ბოლო 7-8 წელია. პარალელურად საერთაშორისო არტგალერეა „First Wish Art Gallery“-ის დირექტორი და თანამფლობელია.*









**- პირველი ნაბიჯები - მხატვრობაში.**

- პირველი ნაბიჯები ღრმა ბავშვობიდან მოდის. სკოლის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული სასკოლო კონკურსებსა და ღონისძიებებში, ყოველთვის მსურდა, სამხატვრო სკოლაში მევლო და ჩემი პროფესია მხატვრობასთან დამეკავშირებინა.

**- როგორი იყო თქვენი შემოქმედებითი გზის დასაწყისი?**

- მიუხედავად იმისა, რომ აქტიური ვიყავი ხელოვნების ყველა სფეროში: ხატვა, მუსიკა, ცეკვა... გარე ფაქტორების ზეგავლენით, ასევე, ძლიერი სურვილი მქონდა, ადამიანებს დავხმარებოდი, ამიტომ პროფესიული არჩევანი სამედიცინო სფეროზე შევაჩერე. ვარ მესამე კურსის რეზიდენტი „ავერსის“ კლინიკაში - პედიატრიაში. მიუხედავად ამისა, ხატვა არასდროს შემიწყვეტია, კოვიდის პერიოდში ბევრად მეტი დრო მქონდა, რომ პრიორიტეტები, სურვილები სწორად დამელაგებინა. ხატვა უფრო აქტიურად განვაგრძე და ნამუშევრების გაყიდვაც დავიწყე. შემდეგ საერთაშორისო გალერეის დამფუძნებელს შევხვდი და ერთობლივად უკვე 20-ზე მეტი საერთაშორისო გამოფენა მოვაწყვეთ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**- არსებობს მოსაზრება, რომ მხატვარმა აუცილებლად სამხატვრო აკადემია უნდა დაამთავროს. ეს ბევრს თავდაჯერებულობას უკარგავს. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?**

- სამხატვრო აკადემია ადამიანს ხელოვნების სფეროში ბაზისის შექმნაში, ცოდნის მიღებაში ეხმარება, თუმცა სამხატვრო აკადემია ვერ შექმნის გენიოსს, ისევე, როგორც თუ სმენა არ გაქვს, ვერ გახდები მომღერალი და ამაში ვერავითარი კონსერვატორია ვერ დაგეხმარება. შესაძლოა გახდე კარგი მსმენელი, ან მუსიკის მცოდნე, ხელოვნებაში - ხელოვნებათმცოდნე ან ექსპერტი, თუმცა სკოლა ვერ შექმნის გენიოსს, პირიქით, შესაძლოა, ჩარჩოშიც მოაქციოს. არ უარვყოფ სამხატვრო აკადემიის სიკეთეებს, ძალიან კარგია, თუ მხატვარს დამთავრებული აქვს პროფესიული სასწავლებელი, თუმცა მჯერა, რომ ხატვის ნიჭი ღმერთისგან ბოძებულია და ის ან აქვს ადამიანს, ან არა. დანარჩენი ტექნიკაა, რაც პრაქტიკით და ყოველდღიური შრომით მიიღწევა. დღეს ზღვა ინფორმაციაა ხელმისაწვდომი და არ მგონია, თუ ვინმეს მეტი შემეცნების სურვილი აქვს, რაიმემ ხელი შეუშალოს. თავდაჯერებულობა ჩემს შემთხვევაში ეტაპობრივად ყალიბდება, ჯერ ძალიან დიდი გზა მაქვს გასავლელი, რომ პრეტენზია მქონდეს დიდ მხატვრობაზე, თუმცა დღეს უამრავი ადამიანია, ვისაც ჩემი შემოქმედება მოსწონს და პირადი კოლექციისთვის აქვს შეძენილი, რაც, რა თქმა უნდა, სტიმულს მაძლევს.

**- რას გადმოსცემთ თქვენი ნახატებით?**

- ყველა იმ უთქმელ ემოციასა თუ სიტყვას, რომელიც ვერბალურად ვერ ან არ გამოვთქვი, იმას, რაც ყველა ადამიანისთვის საერთოა და ვერ ახერხებენ ერთ ენაზე საუბარს. მაქვს სინესთეზია (ბერძნულად ერთდროულ შეგრძნებას, ერთობლივ გრძნობას, თანაშეგრძნებას ნიშნავს) - ფსიქოლოგიაში აღქმის მოვლენა, როდესაც ერთი გრძნობის ორგანოს გაღიზიანებისას, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური შეგრძნების პარალელურად, ჩნდება სხვა გრძნობის ორგანოსთვის დამახასიათებელი შეგრძნებაც. მაგალითად, ფერადი ყნოსვა, ფერადი სმენა. ჩემს შემთხვევაში, ფერადი სმენა - მუსიკა, ბგერები ფერებით აქტიურდება გონებაში. მუსიკასთან დიდი სიახლოვე და ხატვის სიყვარული მეხმარება, რომ ეს ორი სფერო გავაერთიანო და გადმოვცე ყველასათვის საერთო შეგრძნებები ჩემეული ხედვით, უფრო მეტად ფერით, აბსტრაქტულ სტილში. ვცდილობ, ფორმაზე მაღლა ფერი და მათი კომბინაცია დავაყენო.

**- როგორ ჩამოყალიბდა თქვენი ხელწერა?**

- ის პრაქტიკისა და ინდივიდუალური მახასიათებლების კომბინაციაა. ვუსმენ ჩემს გულს, გონებას და ხელს ყოველდღე ვავარჯიშებ, შედეგად კი ამ ხელწერას ვიღებ. მოსმენა მნიშვნელოვანია, ხოლო ამ მოსმენილის გადმოცემას დიდი ვარჯიში და პრაქტიკა სჭირდება, ტილოზე გადმოტანილი იდეა მნახველამდე რომ მივიდეს და აღძრას ემოცია - არა მონოლოგი, არამედ დიალოგი იყოს მხატვარსა და მნახველს შორის.

**- რა არის თქვენი შთაგონების წყარო?**

- ჩემი ემოციები, სიყვარულის მდგომარეობა, რომელსაც მუსიკა აქვს ფონად. ამ ფერებს სწორედ მუსიკის მოსმენისას, კონკრეტული ემოციების განცდისას ვხედავ. ყველა შეგრძნებას თავისი ფერი აქვს, თან ისეთი, სიტყვებით რომ ვერ გადმოსცემ, თუ არ დახატე მთელი ფერთა პალიტრა.

**- როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს, როგორც მხატვარს?**

- საკუთარი თავის დახასიათება, როგორც მხატვრის, რთულია. ვერ გეტყვით, რადგან ჯერ კიდევ პროცესში ვარ. წინ დიდი გზა მაქვს გასავლელი, უბრალოდ, მიყვარს ეს საქმე. როდესაც ვხატავ, სამყარო ჩუმდება და საკუთარ ფერად სამყაროში შევდივარ. ხატვა ერთგვარი მედიტაციაა. სწორედ ხატვის დროს ვწყვეტ ფიქრს წარსულსა და მომავალზე და მთლიანად აწმყოში ვარ, მთელი არსებით.

**- ხატვა, როგორც შემოსავლის წყარო...**

- საბედნიეროდ, მაქვს ამის შესაძლებლობა. ნახატებს ვყიდი, ასევე, შეკვეთებიც მაქვს. მართალია, თანხები არ არის მაღალი, თუმცა ბედნიერებას მანიჭებს, როდესაც მყიდველს მოსწონს და ეს გულწრფელი ემოციაა ყველაზე დიდი საჩუქარი, ნებისმიერ მატერიალურზეც კი. უამრავი ნახატი გაჩუქებულიც მაქვს ამავე მიზეზით.

**- საყვარელი მხატვარი...**

- ამადეო მოდილიანი, გუსტავ კლიმტი, ვასილ კანდინსკი...

**- პერსონალური გამოფენა...**

- ჯერ არ მქონია, თუმცა ვარ საერთაშორისო არტგალერეა „First Wish Art Gallery“-ის დირექტორი და თანამფლობელი.

**- ყველაზე დიდი წარმატება პროფესიაში?**

- „First Wish Art Gallery“-სთან ერთად გამოფენა მქონდა საქართველოში, ინდოეთში, დუბაიში, იაპონიაში, კერძოდ - ტოკიოში (ჩემი ნამუშევარი საქართველოს ელჩის იაპონიაში, ბატონ თეიმურაზ ლეჟავას პირად კოლექციაშია), ასევე, იტალიაში ვენანცო კროშეტის მუზეუმში, ქალაქ რომში, იორდანიაში (ჩემმა ნამუშევარმა იორდანიის კულტურის მინისტრის კოლექციაში დაიდო ბინა), აპრილში თურქეთში, კაბადოკიაში გვქონდა გამოფენა, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა. ამ დრომდე ჩემმა ნამუშევრებმა 7 ქვეყანა „ნახეს“, თუმცა მთავარი წინ არის, ჩვენი გალერეის პროექტი 30 გამოფენასა და ამდენივე ქვეყანას მოიცავს, 23-იც წინ გვაქვს. ნახატებთან ერთად მოგზაურობა, შეხვედრა უცხოურ კულტურებთან, ადამიანების გაცნობა, შთაგონება საოცარია და ამ ყველაფერსაც წარმატებად ვთვლი.

**- დაბოლოს, რა გეგმები გაქვთ, როგორ და სად წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი გამოფენა?**

- როგორც მოგახსენეთ, გვაქვს მსოფლიო ტურის პროექტი, 23 გამოფენა დარჩა, ახლახან ნიდერლანდებსა და გერმანიაზე ვიმუშავეთ. ვაორგანიზებთ გამოფენებს, სადაც, რა თქმა უნდა, ჩემი ნამუშევრებიც იქნება წარმოდგენილი. ასევე, ვეხმარები ყველა ხელოვანს, განსაკუთრებით - ქართველებს, რათა მათი ნამუშევრები მსოფლიომ გაიცნოს. სწორედ ეს არის ჩვენი გალერეის მთავარი იდეა - ქართველი ხელოვანების მხარდაჭერა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ. თითოეულ გამოფენაზე, თითოეულ ქვეყანაში ამაყად ვაფრიალებთ საქართველოს დროშას!